ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი, 2013 №239 (6240) ფასი: 30 თეთრი

8 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს საბუარო
მტაცებლები
10 ლარი



მეტროში ჩასვლა საშიშია!

ბევრ სადგურში ხედლებიდან ჩამოხსნეს ძვირადღირებული მარმარილოს ფილები და მათ ნაცვლად აეკრეს „პლასტიკატები", რომელიც ელიავას ბაზრობაზე 1 კვადრატული მეტრი 5 ლარი ღირს.

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „მაიძულებდნენ, ბურჯანაძის, ზურაბიშვილის, უსუფაშვილის, ალასანიასა და ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიმეცა“

„უტიაშვილისთვის ხელი რომ დამედო, ვირის აბანოში ეყოლებოდათ“ — გვ. 2 —

შსს-ს მაშველებმა დაკარგული პოლონელი ალპინისტის ცხედარი ჩამოასვენეს

— გვ. 2 —

გვ.7

ჯონდი ბალათურია: „ქართული ოცნება“ ცდილობს, ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანოს“

გვ.4

ზაქარია ქუცნაშვილი: „ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ყველაფრის დათმობა არ ღირს“

თემურ შაშიაშვილი: „ნაციონალებისა და მეოცნებეების გარიგება ხალხმა უნდა ჩაშალოს“

გვ.4

11 ოქტომბერს სინოდის სხდომა გაიმართება

11 ოქტომბერს საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება. როგორც „მედიანიუსს“ საპატრიარქოში განუცხადეს, წმინდა სინოდის სხდომაზე განსახილველი საკითხები, ტრადიციულად, წინასწარ უცნობია.

სხდომა, ტრადიციულად, 12.00 საათზე დაიწყება და მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გაუძღვება.

სინოდის სხდომა წელიწადში ორჯერ ტარდება. ბოლოს სხდომა 23 აპრილს გაიმართა.

მედიანიუსი

ISSN 1987-9385

3 შსს მავთულხლართებისა და ღობეების მონტაჟის პროცესის გაგრძელებას არ აღასტურებს

7 პედაგოგებს საპროტესტო აქცია ჩაუშალეს

6 ალეკო შალამბერიძე: „გაუქმდეს „სითი პარკსა“ და თბილისის მერიას შორის დადებული კაბალური ხელშეკრულება!“

7 საია ახალაიას პროცესს ეხმიანება

ვახტანგ მაისაია: „მაიძულებდნენ, ბურჯანაძის, ზურაბიშვილის, უსუფაშვილის, ალასანიასა და ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიმეცა“

„უტიაშვილისთვის ხელი რომ დამედო, ვირის აბანოში ეყოლებოდათ“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ვახტანგ მაისაიასთან

– რა მოტივით დაგაპატიმრეს, რას გერჩოდათ მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა?

– ჩემი დაპატიმრება პოლიტიკურ მოტივაციას, ლოკალური და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს უკავშირდებოდა. ამ რეჟიმის რეალურ არსს ყველა საერთაშორისო დონეზე ვაფიქსირებდი. 2008 წლის 19 დეკემბერს მქონდა შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფორმატში, სამუშაო ჯგუფთან, ორსაათიანი მოხსენება მქონდა, დევიდ მილიბენდიც კი ესწრებოდა, მაშინ საგარეო მინისტრი იყო. გახსოვთ ალბათ, მან უდიდესი როლი ითამაშა აგვისტოს ომის პერიოდში. სამი საკითხი წარმოვადგინე ენერგოუსაფრთხოების, ნატოში ინტეგრაციის, საქართველო-რუსეთის ომი. ჩემი პოზიციები გამოვხატე. 24 დეკემბერს კი თბილისში ჩამოსვლის დროს მოსამართლე ჩემიას მიერ იყო განკარგულება გაცემული, რომ დაწყებულიყო ჩემზე ფარული მიყურადება. ლონდონში გამოვიდა ჩემი წიგნი, პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა ამ წიგნს, რომელშიც გადმოცემული იყო რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა. მოსკოვში ომის შემდეგ ერთ თვეში ხუთი წიგნი გამოვიდა ამ ომზე, სადაც რუსეთი თავის ქმედებებს ამართლებდა. ამ დროს კი ჩვენთან არც ერთი წიგნი არ გამოცემულა. სააკაშვილი ამბობდა, პროპაგანდისტულ ომს ვიგებთო, მაგრამ ასე არ ყოფილა. ომი შეიძლება წააგო, მაგრამ საინფორმაციო და პროპაგანდისტული ომი მაინც მოიგო, სააკაშვილი ამასაც ვერ ახერხებდა. „აგვისტოს ხუთი დღე“ ეს დაბალხარისხიანი ფილმი იყო მხოლოდ სააკაშვილის პროპაგანდის ნაწილი, რომელშიც საინტერესო იყო, რომ რუსი ოკუპანტი კეთილშობილურ მეომრად გამოიყვანეს. აღვირახსნილი პროპაგანდა იყო, სასამართლოზეც კი აღნიშნეს, რომ ჩემი წიგნი მთლიანად ქართულ ინტერესებს გამოხატავდა. პოლიტიკური ისლამის სპეციალისტი ვარ და კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკურ სიტუაციას და ტერორისტული დაჯგუფებების აქტიურობას ვსწავლობდი, ციხეში მიმდინარეობდა საუბარი იმაზე, რომ ისლამურ ტერორისტებთან მე უნდა მიმეღო მონაწილეობა მიხელ სააკაშვილის სპეცსამსახურების დაკავშირებაში. საუბარი იყო სახელმწიფო ტერორიზმის სპონსორობის წახალისებაზე. ჩემი წიგნი დააპატიმრეს. ვის მოუვიდა აზრად ჩემთვის დაებრალებინათ, რომ ომის პერიოდში თურმე ვამზადებდი დივერსიულ ჯგუფებს, კავკასიური წარმოშობისას და ამას ვაკეთებდი თურმე რუსეთის წინააღმდეგ. მე ოფიციალურად დამადანაშაულეს ნატოს სპეცსამსახურებთან კავშირში, რომ მათი აგენტი ვიყავი. თავად განსაჯოს მკითხველმა. ეს რას ნიშნავს. 2012 წელს სააკაშვილს წამოსცდა, ვახტანგ მაისაია შტაბში დარჩა, მაშინ, როცა ყველა გაიქცა, ომის დროს, ცდილობდა ოპერატიულ მორიგესთან ერთად მოეგერიებინა აგრესია რუსების მხრიდანო, მაგრამ ინფორმაციებს გადასცემდა სხვებსო. არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ალბათ იგულისხმებოდა რუსები. მე ამ დროს წამომიყენებს ბრალდება ნატოს სპეცსამსახურების ჯაშუშობაში. სლოვაკეთის დაზვერვას თურმე ვაწვდიდი ინფორმაციებს. გამოდის, რომ რუსების მტერი ვიყავი. მე მას ვუწოდე პოლიტიკური პინოქიო, ამდენ ტყუილს ამბობდა, თანაც აბსურდულ ტყუილებს. ენვერის საქმეში გაყალბებულ ბრალდებებში ჩაუწერეს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, მე კი ნატოს სპეცსამსახურების ჯაშუში ვიყავი თურმე. სასამართლოს გადაწყვეტილებას დაადეს გრიფით საიდუმლო. მე არ ვიზიარებდი ამ რეჟიმის პოლიტიკურ შეხედულებებს, ასევე ურთიერთობა მქონდა ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან, მათ შორის სალომე ზურაბიშვილთან, ჯანრი კაშიასთან, ირაკლი ალასანიასთან. ბატონი ჯანრი ჩემი მასწავლებელი იყო და ოჯახებით ვახლობლობდით. იმასაც ცდილობდნენ, ხელი დამედო კონკრეტული პოლიტიკური ლიდერებისთვის, მაგალითად, ბურჯანაძის, სალომე ზურაბიშვილის, დავით უსუფაშვილის, ალასანიას, ოქრუაშვილის წინააღმდეგ, რომელსაც ამ დროს საერთოდ არ ვიცნობ. ორმოცდაათი ადამიანი იყო ჩამოწერილი, მათ შორის, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისივე ბანაკის წარმომადგენლებიც, მაგალითად, გელა ბეჟუაშვილი, ამ დროს არც მას ვიცნობდი.

– რა ინტერესი ჰქონდათ, რომ მათივე ბანაკის წევრებზე მიგეწოდებინათ ინფორმაციები?

– ის ინტერესი ჰქონდათ, რომ მათაც არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობები შიგნით, ისიც წამოსცდათ, კონტრდაზვერვის გამომძიებლებს შენ გამო შოთა უტიაშვილი გავხიეთ ცემაშიო. ეს არის ოთარ ორჯონიკიძის და ვალერი ზუმბაძის პირადი სიტყვები. არ ვიცი რა კავშირი ჰქონდა უტიაშვილს ჩემს საქმესთან. იცნობდი მათო, აპირებდნენ შეეთხზათ რაღაც საქმე უტიაშვილის და მისი მოადგილის წინააღმდეგ. იყო მასალები კავშირზე ვანო მერაბიშვილისა ბელორუსის სპეცსამსახურებთან და ელიტის წარმომადგენლებთან. მე დამიდასტურეს, რომ ეს სიმართლეს შეეფერებოდა, გავიდნენ უტიაშვილზე და კვაშილავაზე. კვაშილავა და მე ადრე ასპირანტურაში ერთად ვსწავლობდით თსუ-ში, უტიაშვილისგან კი გამოცდას ვიბარებდი, ის მაშინ ჟურნალისტად მუშაობდა. ჩემი მეგობრის ლევან გერაძის დაჭერასაც აპირებდნენ. ის მაშინ მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში. მეც ფიზიკური დამუშავების პირობებში მამყოფებდნენ. მე ხელი რომ დამედო უტიაშვილისთვის, ვირის აბანოში ეყოლებოდათ.

– ითხზვებოდა ისტორიები და საქმეები დაახლოებით გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების მსგავსად, ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრის ჩათვლით?

– დიახ, დაახლოებით მსგავსი რამ ხდებოდა, საშინელი წამების პირობებში მამყოფებდნენ. კარგად მახსოვს, როგორ აწამებდნენ ღამის საათებში მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებულ ბიჭებს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხალხი შემოდიოდა, იყო მელაძე, რომელსაც პატიმარი ჰყავდა მოკლული და ჯერაც არ დაუკავებიათ, ეს ფაქტი მოხდა შაშკინის მინისტრობის დროს, ახლა გრძელი ენა აქვს, მაგრამ მელაძის ეპიზოდს გავახსენებ შაშკინს, ეს მელაძე ყველანაირ დავალებას ასრულებდა და იარაღით შემოდიოდა. ჩემ წინ ამუშავებდნენ მუხროვანის ბიჭებს და მერე ჩემი დამუშავება ხდებოდა, ჩემ შემდეგ ვის ამუშავებდნენ, არ ვიცი, გამოძიება უნდა დაინტერესდეს ამით, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ როდესმე გამოძიება ამით დაინტერესდება. რომ არა ჩემ მიმართ დახმარება ქალბატონი ირინა ფუტკარაძის, სოსო ცისკარიშვილის, მამუკა არეშიძის, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის, მე მომკლავდნენ. ღრმა მწუხარება მინდა გამოვხატო ბატონი გოგი ხუციშვილის უდროო გარდაცვალების გამო, მას ლომის წილი მიუძღვის, რომ მე ფიზიკურად გადავრჩი, თორემ ჩემი ლიკვიდაცია იგეგმებოდა. მისი სამოქალაქო აქტივობის გამო გადავრჩი, თორემ ჩემს მოკვლას აპირებდნენ ციხეში. დიდი ხანია ბატონ გოგის ვიცნობ, მისი მოწაფეც ვიყავი, ის იყო კონფლიქტოლოგიის მეტრი, მან მთელი სკოლა ჩამოაყალიბა კონფლიქტოლოგიის. რომ არა 2010 წლის აგვისტოს დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პოზიცია, მე ახლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, მუხაძე და სხვები აპირებდნენ ჩემს ლიკვიდაციას. ბატონი უჩა ნანუაშვილი, ქალბატონი ნათია კორკოტაძე, მარინა ფილაური, ჩემი ოჯახი, ჩემი მეუღლე, ყველა ცდილობდა ჩემს გადარჩენას. სოზარ სუბარმაც უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მე ციხეში არ მოვეკალი. ამერიკის ადმინისტრაციის მტკიცე პოზიცია იყო ასევე, რომ მე გადავურჩი იმ ჯოჯოხეთს. რომ არა ობამას ადმინისტრაცია, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მივიღებდით ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკს საქართველოში, კავკასიაში ლუკაშენკოს რეჟიმს მივიღებდით. ლუკაშენკოს რეჟიმზე უარესობა არ არსებობს. კარიმოვის რეჟიმი ციხეებში პოლიტპატიმრებს ცოცხლად ხარშავდა, ლუკაშენკოს რეჟიმის დროს ქუჩაში ხვრეტდნენ ადამიანებს, სამასი ახალგაზრდაა ქუჩაში მოკლული ლუკაშენკოს რეჟიმის დროს. პინოჩეტის დროს ხუნტა ხვრეტდა თორმეტი-ცამეტი წლის ბავშვებს ქუჩაში. მაკკეინი 1985 წელს უშუალოდ ლობირებდა პინოჩეტს. ჰიტლერთან მეგობრობდა ჩემბერლენი.

– ჰიტლერზე რახან ჩამოვარდა საუბარი, სპორტის სასახლეში ნაცმოძრაობის შეკრებამ ბევრს ფაშისტური რეჟიმის დროინდელი შეკრებები და მანიფესტაციები გაახსენა, სააკაშვილის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?

– გზააბნეული და შიშის ქვეშ მყოფი პოლიტიკოსების ვაქანალიაა. არ ვიცი, როგორ უნდა დაუჭირო მხარი იმ ძალას, რომელიც ასოცირდება სისტემურ დანაშაულთან და ადამიანების წამებასთან. ორი კატეგორიის ხალხი ჰყავდათ იქ მიყვანილი, ვისაც დიდი თანხა გადაუხადეს და მეორე კატეგორია საბჭოთა სისტემის ნოსტალგიით დაავადებული ადამიანების მასა, მისტირიან ნაცმოძრაობის პერიოდს. მე იქ ვერ დავინახე იდეოლოგიურად მდგრადი მასა. ოცდახუთი კამაზი ჰყავდათ დამალული ტექნიკურ უნივერსიტეტთან. იტალიაში არის პორნოვარსკვლავი ჩიჩოლინა, რომელიც იტალიელებს სხვათა შორის უყვართ, პარლამენტის დეპუტატიც არის, სპორტის სასახლეში კი ია ფარულავა იყო, რომელიც ერთ-ერთ პორნოფილმშია გადაღებული, ამით არის ის ცნობილი. რასაც მე ვამბობდი, იმავეს ამტკიცებს თეა თუთბერიძე ვანო მერაბიშვილზე, რომ რუსეთის სპეცსამსახურებთან აქვს კავშირი. ამას თეა თუთბერიძე კი არ ამტკიცებს, არამედ ამირან მესხელი. მან ეს პირადად მითხრა, რადგან იცოდა, რომ ციხიდან ცოცხალი არ უნდა გავსულიყავი. ჩემი ფიზიკური ლიკვიდაციის ოპერაცია მიმდინარეობდა, რომლის უკან იდგნენ მეგის ქარდავა, სოსო თოფურიძე, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც დღესაც ამ სტრუქტურაში მუშაობენ. როგორც მე ვიჯექი ომის პერიოდში შტაბში, ასეთივე „ჯაშუშები“ იყვნენ ფოტორეპორტიორებიც. ვალერი ზუმბაძე, ოთარ ორჯონიკიძე და დათაშვილი, ისინი მათაც აწამებდნენ. შსს-ში დღესაც მაღალ თანამდებობებზე არიან. მინდა ვკითხო ირაკლი ღარიბაშვილს, რა უნდათ სამინისტროში ამ ჯალათებს?

– გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ დასავლეთმა აუკრძალა ამ ხელისუფლებას ნაცმოძრაობის დამნაშავე წარმომადგენლების დაჭერა.

– მე პატივს ვცემ ბატონ გელას, მაგრამ არა მგონია ასე იყოს. არის ჯგუფები დასავლეთში, რომლებიც შეესაძლოა გავლენას ახდენენ ჩვენს ხელისუფლებაზე, მაგრამ ასევე არიან ჯგუფები, რომლებსაც სურთ სიმართლის გარკვევა. ხელსაც არ ართმევდნენ სააკაშვილს ანგელა მერკელი, სარკოზი. ჩემი კომპიუტერი გაანადგურეს 2012 წლის არჩევნებამდე, იმ კომპიუტერში იყო მასალები, რომელსაც იყენებდნენ ისლამისტური ტორორისტული ჯგუფების მოსამზადებლად.

– ლაფანყურთან დაკავშირებით რა მოხდა, თუ გაქვთ ანალიზის დონეზე რაიმე შეფასება?

– დიახ, ინგლისურენოვან „ჯორჯიენ თაიმსში“ დავწერე სტატია ამ საკითხზე. ეს იყო ტერორიზმის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა. სააკაშვილი საფრთხეს უქმნიდა არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას. ის ადამიანებიც მსხვერპლნი იყვნენ სააკაშვილის ავანტიურის. ასლან მარგოშვილი აბსოლუტურად მოტყუებით ჩამოიყვანეს საქართველოში. საეჭვოა სააკაშვილის კავშირები ირანთან. თუ ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეა საქართველო, მაშინ ირანთან უვიზო რეჟიმს როგორ ვაწესებთ. ამერიკისთვის ირანი იყო ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფო ახმადი ნეჯადის დროს, რუსეთთან ხელახალი ომის პროვოცირება უნდოდა სააკაშვილს ლაფანყურით, როდის მოხდა ეს ოპერაცია, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. სააკაშვილი გაიქცეოდა ემიგრაციაში. რუსეთი მთლიანად საქართველოს ოკუპაციას მოახდენდა. სააკაშვილი არ დაუშვებდა ნაცმოძრაობის დამარცხებას. ლაფანყურის ოპერაცია დაიწყო 28 აგვისტოს და 29 აგვისტოს ახმეტაში უნდა ჩასულიყო ივანიშვილი. იქ რამდენიმე ჯგუფს სნაიპერებად ამზადებდნენ. ეს ჯგუფები უნდა გამოეყენებინათ შიდა პოლიტიკური ტერორისთვის. გახსოვთ ხომ, სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავები? ჩემი მეგობარია პოლიტპატიმარი გოჩა ძაძარია, ზვიადისტური მოძრაობის საველე მეთაური იყო, ეს ადამიანი აწამეს დაპატიმრების შემდეგ, რადგან უარი თქვა შიდა ტერორისთვის რაზმების შექმნაში 2006 წელს.

– ეს ამაზრზენი იდეები ვის თავში მოდიოდა, მერაბიშვილის, სააკაშვილის, ბოკერიას?

– ეს იყო კოლექტიური მიშიზმი. ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა გიგა ბოკერია, რურუა, გივი თარგამაძე, მერაბიშვილი, უგულავა პროპაგანდისტულ უზრუნველყოფას ახდენდა, ამათი ხელის ბიჭი იყო. ბაჩო ახალაიაც მონაწილეობდა კონკრეტულ ოპერაციებში, ახლა კრავად რომ მოაქვს თავი, ასე არ არის. კომპარტიის მთავარ პოლიტიკურ ორგანოს პოლიტბიურო ერქვა და ნაცმოძრაობის პოლიტიკურ საბჭოსაც პოლიტბიურო ჰქვია. ეს ადამიანები ლაფანყურის დროს იმიტომ დახოცეს, რომ კვალი დაეფარათ. საგარეო დაზვერვის პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე როგორც მოკლეს, ბუნდოვანია, რატომ მოკლეს, ასევე მოკლეს როინ შავაძე. მოწმეები იყვნენ, როგორ გამორბოდა პოლიტიკური ხელმძღვანელობა ფრონტის ხაზიდან რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

– შსს-სა და პროკურატურაში დარჩენილი ძველი კადრები თვითონ ხომ არ გამოიძიებენ საკუთარ დანაშაულებრივ ქმედებებს?

– საბოტაჟი არის, სტალინის მეხოტბე არ ვარ, მაგრამ გენიალური ფრაზა აქვს, შეუცვლელი კადრები არ არსებობენ. კადრები არსებობს. მიკვირს, თავდაცვის სამინისტრო რატომ არ იღებს სამსახურში მუხროვანის ბიჭებს. პოლიტპატიმრები არიან, ვაჟკაცები არიან და არა ერთხელ დაამტკიცეს ფრონტის ხაზზე რას აკეთებდნენ. ვინ დარბოდა მოსკოვში ფალსიფიცირებული პასპორტით, მუხროვანის ბიჭები თუ ვანო მერაბიშვილი? ვინ ჩააბარა კოდორი ერთი გასროლით? მუხროვანის და სხვა ვაჟკაცებმა კბილებით შეინარჩუნეს კოდორის ხეობა. პირველი რუსული დესანტი კოდორში ვინ დაატპატიმრა? კობალაძეს რუსეთში ანტიგმირის სახელი აქვს. დავით თევზაძის გარევასაც აპირებდნენ მუხროვანის ამბებში. რუსები მასაც ანტიგმირად თვლიან.

– სააკაშვილი რეალურად რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, დაწყებული თქვენი დაპატიმრებით, დასრულებული ლაფანყურით?

– როგორც უკვე გითხარით, ოფიციალურად წამიყენეს ბრალდება ნატოს სპეცსამსახურების ჯაშუშობაში. ეს ინფორმაცია უნდა მიეჩქმალათ იმ დონეზე, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა, ანუ ჩემი ლიკვიდაცია უნდა მოეხდინათ. მკვდარს ნებისმიერ რაიმეს დააბრალებდნენ. ნატოს ჯაშუში ვარ, გამოიტანოს დასკვნა საზოგადოებამ.

– ჯერ კიდევ მსჯელობის თემაა სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემა, ეს პარადოქსია ჩვენი საზოგადოებისა, რომ სააკაშვილზე სხვადასხვა პოზიციებია. თქვენ რა აზრის ხართ?

– აუცილებლად უნდა მისცენ პასუხისგებაში. პირადი ანგარიშსწორება არ მალაპარაკებს, ეს ადამიანი სახელმწიფოს უსაფრთხოების ნომერ პირველი მტერია. უნდა დააპატიმრონ თუ მანამდე არ მოუღეს ბოლო იმ ადამიანებმა, რომლებიც მის უკან იდგნენ. თუნდაც ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გამო უნდა აგოს პასუხი.

– დადასტურებული რომ არ არის, მართლა მან მოკლა თუ არა?

– ამას დადასტურებაც არ სჭირდება. მოკლულია და ვისი ბრძანებით, ესეც ვიცით. მოტივაციიდან გამოვდივარ, ვინ გაიმაგრა პოზიციები ჟვანიას მკვლელობის მერე, სააკაშვილმა. ჩემში ეჭვს არ იწვევს ის, რომ უშუალოდ მონაწილეობდა სააკაშვილი ამ პოლიტიკურ მკვლელობაში. ესენი უარესზეც იყვნენ წამსვლელები. მე ეს ჯოჯოხეთი გამოვიარე. როგორც ნერონმა გაწირა საკუთარი დედა, სააკაშვილიც გაწირავდა საკუთარ დედას. მორალი და პრინციპები სააკაშვილისთვის არ არსებობს. კოჰაბიტაციაც ყველგან კრახით სრულდება. მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა კოჰაბიტაცია გამოაცხადეს, ამან შემდეგ მოიტანა ბოლშევიკური გადატრიალება და სისხლიანი წითელი ტერორი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზვიად კვაჭანტირაძე: „მარგველაშვილი ხმების 60%-ზე მეტს მოიპოვებს“

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ გაიმართება.

კვაჭანტირაძე სამომავლოდ ცვლილებებს არ გამორიცხავს, მაგრამ კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის მარგველაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება.

„დარჩენილ დროში შეიძლება, ბევრი რამ მოხდეს, მაგრამ მაინც არ მგონია, რომ დრამატული ცვლილებები იყოს მოსალოდნელი, რომელიც კოალიციის კანდიდატის პირველივე ტურში გამარჯვებას ეჭვქვეშ დააყენებს. ერთმნიშვნელოვნად დარწმუნებული ვარ, რომ მარგველაშვილი ხმების 60%-ზე მეტს მოიპოვებს“ – განაცხადა კვაჭანტირაძემ.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე: „იმედი მაქვს, გიორგი მარგველაშვილს ჩემთან დებატების არ შეეშინდება“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ ამომრჩევლებს მცხეთაში შეხვდა. ადგილობრივი მოქალაქეების პრობლემების მოსმენის შემდეგ, ნინო ბურჯანაძემ თავისი საპრეზიდენტო პროგრამის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა.

„ჩემთვის ყოველთვის ძალიან საინტერესოა მოსახლეობასთან შეხვედრა, ადამიანებთან საუბარი. მინდა ხალხმა იცოდეს ჩვენი სამოქმედო პროგრამის თაობაზე, რომელიც გუშინ წარვადგინე და რომელიც ყველა ექსპერტმა ძალიან პოზიტიურად შეაფასა. ამავდროულად, მინდა მცხეთის რაიონის პრობლემები მოვისმინო.

მე ვპირდები ამ ადამიანებს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, მათი პრობლემების მოგვარება დაიწყება, ქვეყანა ნორმალურად ცხოვრებას დაიწყებს და მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები იქნება. ამავდროულად, მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ყველგან, სადაც შეხვედრები გავმართეთ, მოსახლეობა დებატებს ითხოვს, ყველგან აინტერესებთ სხვადასხვა კანდიდატთა ხედვების ჭიდილი.

მე იმედი მაქვს, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი არ დაიწყებს გაუგებარი ფორმულირებებით საუბარს, რადგან სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე ეთანხმება თუ არა ბატონი გიორგი მარგველაშვილი ჩემს გამოწვევას, რომ დებატებში მიიღოს მონაწილეობა. აქ საუბარი ბატონ მარგველაშვილთან პირისპირ დებატებზეა და მე იმედი მაქვს, რომ მას ამის არ შეეშინდება“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

ლუქსემბურგის მინისტერიალზე ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპოლთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლუქსემბურგში გამართულ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტერიალზე სხვა საკითხებთან ერთად, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში სამინისტროს მიერ გატარებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ღონისძიებები, მათ შორის, ე.წ. კანონიერი ქურდების ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატების საკითხები განიხილეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა მხარეებს ორმხრივი ხელშეკრულებების დადებისა და პოლიციის ატაშეების დანიშვნის გზით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ მოუწოდა, ასევე, ევროპოლთან თანამშრომლობის დამყარების სურვილი გამოთქვა. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კი, პოლიციის სექტორში გატარებული რეფორმა და სხვა ქვეყნებისთვის შესაბამისი გამოცდილების გაზიარებისთვის მზაობა აღინიშნა. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ხაზი გაესვა თანამედროვე გამოწვევებს და ამ კუთხით, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას, მათ შორის, ოპერატიული ინფორმაციის დროული გაცვლის მიზნით. მინისტერიალის ფარგლებში მიგრაციისა და მობილურობის სფეროში არსებული სიტუაცია და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებიც განიხილეს. ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობაზე.

მინისტერიალზე სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს. მინისტერიალი თანამშრომლობის სამომავლო გეგმებისა და პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირებას და ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას ისახავდა მიზნად, განსაკუთრებით, ვილნიუსის მომავალი სამიტის გათვალისწინებით.

ნიუსპრესი

შსს მავთულხლართებისა და ღობეების მონტაჟის პროცესის გაგრძელებას არ ადასტურებს

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში, 8 ოქტომბერს, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და ღობეების მონტაჟის პროცესის გაგრძელებას შსს არ ადასტურებს. ამასთან, უწყება ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას გორის რაიონის სოფელ აძვსა და სოფელ ჯარიაშენს შორის გავლებული მავთულხლართების არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით 37-ე შეხვედრაზე ქართულმა მხარემ მკაცრად გააპროტესტა.

ნიუსპრესი

შსს-ს მაშველებმა დაკარგული პოლონელი ალპინისტის ცხედარი ჩამოასვენეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა პოლონელ ალპინისტთა ექსპედიციის ერთ-ერთი დაკარგული წევრის ცხედარი მყინვარწვერიდან ჩამოასვენეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში პოლონელი ალპინისტების დაკარგვის შესახებ ინფორმაცია 22 სექტემბერს შევიდა. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების თანამშრომლებმა სამაშველო-საძიებო ოპერაცია იმავე დღეს დაიწყეს. მყინვარწვერისკენ მიმავალი ყველა ალპინისტური მარშრუტისა და საფეხმავლო ბილიკის საჰაერო დათვალიერება ინტენსიურად მიმდინარეობდა. პარალელურად, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი საძიებო ღონისძიებას სრული სამთო აღჭურვილობით ხმელეთიდანაც აწარმოებდა.

მაშველებმა ცხედარი 26 სექტემბერს ზღვის დონიდან 4300 მეტრზე, დევდორაკის მყინვარსა და მყინვარწვერის პლატოს შორის აღმოაჩინეს, თუმცა მისი ჩამოსვენება ამინდის გაუარესების გამო შეფერხდა. საძიებო ოპერაციაში ავიაციაც იყო ჩართული. ცხედრის აღმოჩენის შესახებ ქართულმა მხარემ ალპინისტის ოჯახის წევრებს უკვე აცნობა.

მედიანიუსი

მეტროში ჩასვლა საშიშია!

შორენა გონგლაძე

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია გამოდის ინიციატივით, რომ თბილისის მეტროპოლიტენში ჩატარდეს ექსპერტიზა და დადგინდეს, რამდენად აკმაყოფილებს მეტროპოლიტენი უსაფრთხოებისა და სანიტარიულ ნორმებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ თბილისის მერიაში ფრაქციის გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელსაც თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ლევან კოპლატაძე ესწრებოდა.

როგორც გაბუნიამ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მასთან ამ თემაზე სასაუბროდ იმყოფებოდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტები და საჭიროდ ჩათვალა, რომ ინფორმაცია მიეღო მეორე მხარისაგანაც და სწორედ ამიტომ მიიწვია შეხვედრაზე ლევან კოპლატაძე. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, შეხვედრაზე მან ამომწურავი ინფორმაცია მიიღო ყველა შეკითხვაზე, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი არ არის. საკრებულო გააგრძელებს მუშაობას ამ საკითხზე. მუშაობის პროცესში მოეწყობა ტურები მეტროპოლიტენებში, ასევე საკრებულო ყველა შესაბამის მაკონტროლებელი ორგანოებისგან გამოითხოვს შესაბამის ექსპერტიზის დასკვნებს.

ზაზა გაბუნია გამოდის ინიციატივით, რომ თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს კვლევები მეტროს შემადგენელ ნაწილებზე, მათ შორის ესკალატორებზე, ლიანდაგებსა და ვაგონებზე ექსპერტიზის ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მიიჩნევს, რომ მეტროს უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ყოველდღიურად ამ ტრანსპორტით უამრავი თბილისელი გადაადგილდება.

თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი კი აცხადებს, რომ შეხვედრამ კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა და მან საკრებულოს წევრებს ყველა შეკითხვაზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

– უსაფრთხოება დაცულია ყველა ნორმის დაცვით, იმაზე უკეთესადაც, ვიდრე 20-25 წლის წინ. ამ მხრივ ჩვენ პრობლემები არ გვაქვს და მე საკრებულოს წევრებსა და თქვენ, ჟურნალისტებსაც გთავაზობთ, რომ მომავალ კვირაში მოვაწყოთ მედიატური, რათა დარწმუნდეთ ინფორმაციის სიზუსტეში, რომელიც დღეს ჩვენ საკრებულოს მივაწოდეთ, – განაცხადა ლევან კოპლატაძემ და დასძინა, რომ მოქალაქეების გარკვეული ჯგუფი მიზანმიმართულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, რომ მეტროში უსაფრთხოების კუთხით ყველაფერი რიგზე ვერ არის.

ლევან კოპლატაძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გარკვეულ მეტროსადგურებში ჩამოიხსნა მარმარილოს ფილები და მის ნაცვლად გაიკრა პლასტიკატი. ის ადასტურებს, რომ მეტროსადგურების მოსაპირკეთებლად გამოიყენეს სწრაფადაალებადი მასალა, მაგრამ, მისი თქმით, მსოფლიოში არ არსებობს ასეთი მეტროსადგური, რომელიც არის მოპირკეთებული ისეთი მასალით, რომელიც არ იწვება.

მერიაში მეტროპოლიტენის გარშემო ატეხილი ეს აურზაური სწორედ რამდენიმე დღის წინ გაზეთ „ვერსიაში“ დაბეჭდილ სტატიას მოჰყვა, სადაც აღწერილია, თუ როგორ გაუჩნდა ცეცხლი თბილისის მეტროს საბურთალოს ხაზზე მატარებელს. როგორც სტატიაშია ნათქვამი, მეტროს თანამშრომლების თქმით, ცეცხლი მატარებლის ელექტროძრავს მოედო, მოხდა სწრაფი დაკვამლიანება და ყველაფერი შეიძლება დიდი ტრაგედიით დასრულებულიყო, მეშინოდა რომ არ ეყოჩაღა და ცეცხლი დროულად არ ჩაქრო. ეს ამბავი არსად გახმაურებულა – თბილისის მერიამ იზრუნა, ჟურნალისტებს არაფერი შეეტყოთ. არადა, როგორც მეტროში დასაქმებული პერსონალი ამბობს, ასეთი შემთხვევები ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა, გიგი უგულავას უწყება კი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ამბავი არ გახმაურდეს.

ამგვარი შემთხვევების მიჩქმალვის რეალური მიზეზი ის გახლავთ, რომ, მეტროს სპეციალისტების თქმით, უგულავამ ერთ დროს ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტი გადაადგილების ყველაზე საშიშ საშუალებად აქცია. სპეციალისტების თქმით, მატარებლის ძრავაზე ცეცხლის გაჩენა მომაკვდინებელ საფრთხეს შეიცავს, რადგან, ფულის კეთებაზე დახარბებული ნაციონალების დამსახურებით, მეტროს გვირაბები სავსეა მასალებით, რომლებიც ცეცხლის გაძლიერებას უწყობს ხელს. დედაქალაქის მთავრობაში მოსვლისთანავე, უგულავას ბრძანებით, თბილისის მეტროპოლიტენში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. პროცესი საკმაოდ კურიოზულად წარიმართა: ბევრ სადგურში კედლებიდან ჩამოხსნეს ძვირადღირებული მარმარილოს ფილები და მათ ნაცვლად, ააკრეს „პლასტიკატები“, რომელიც ელიავას ბაზრობაზე, 1 კვადრატული მეტრი 5 ლარი ღირს. ცხადია, ეს ფულის მოტეხის მიზნით გაკეთდა. სპეციალისტების თქმით, ეს ის შემთხვევაა, როცა ქალაქის მერია უპატიებელ დანაშაულს ჩადის საკუთარი მოსახლეობის წინაშე – უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, არსებობს საერთაშორისო ნორმები, რომელთა მიხედვით, კატეგორიულად დაუშვებელია მეტროს გვირაბებში პლასტმასის გამოყენება – მეტიც, ამის გაკეთება დანაშაულად მიიჩნევა; მიზეზი გასაგებია: თუ მეტროში რაიმე მიზეზით ცეცხლი გაჩნდება, ნაკლები შანსი უნდა არსებობდეს, რომ ცეცხლი ახლომახლო არსებულ საგნებს გადაედოს, პლასტიკატი კი აალების შესანიშნავი საშუალებაა. მოკლედ, გიგი უგულავამ და ანდრო ალავიძემ მეტროპოლიტენის თავის ძმობილ და ამფსონ ხელმძღვანელებთან – ლევან კოპლატაძესთან, მიხეილ ჭელიძესთან... ერთად კონვენციებიც უგულებელყვეს, უსაფრთხოების ნორმებიც და ის გააკეთეს, არც ერთ ქვეყანაში მეტროს მესვეურებს აზრადაც რომ არ მოსვლიათ: მეტროს გვირაბები, პლასტიკატების წყალობით, ხანძრის კერად იქცა! „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, მერიისა და მეტროს წარმომადგენლებმა იცოდნენ, დანაშაულს რომ ჩადიოდნენ, ამიტომ ცდილობდნენ, „გაეპრავებინათ“ თავიანთი საქციელი და ათასნაირ უნიჭო ჭორს ავრცელებდნენ სხვადასხვა სამსახურის დახმარებით; მაგალითად, სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელები ამბობდნენ, რომ მეტროში პლასტიკატების გაკვრა საშიში არაა, რადგან ამ პლასტიკატებს მისხმული ჰქონდა ისეთი ხსნარი, რომელსაც ცეცხლი არ უჩნდებოდა. ბევრმა ეს ტყუილი დაიჯერა კიდეც, მაგრამ ეს უგულავას იაფფასიანი „ტრიუკი“ იყო. ასეთი ხსნარი მართლაც არსებობს, ოღონდ ძალიან ძვირი ღირს და მდიდრულ ოფისებში იყენებენ ხალიჩებისა და ფარდების დასამუშავებლად. მეტროსთვის კი მისი შეძენა შეუძლებელი იქნებოდა სიძვირის გამო და უაზროც, რადგან პლასტიკატი ხსნარით არ იჟღინთება... მოკლედ, სულელური ჭორები ავრცელა სახანძრომ, იმის ნაცვლად, თვითონვე გაეპროტესტებინა ის, რაც მეტროში ხდებოდა. გაპროტესტებით არ გაუპროტესტებია, მაგრამ დანაშაულის ნიშნები იმდენად დიდი იყო, რომ ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებაზე ხელი არ მოაწერა. მეტროს სპეციალისტებს იმედი აქვთ, რომ ახლა მაინც მიიღებენ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ზომებს, გააპროტესტებენ მეტროპოლიტენის გვირაბების პლასტმასის მასალებით გავსებას და ამ პლასტიკატების მოხსნას მოსთხოვენ ხელისუფლებას.

როგორც ტექნიკურ უნივერსიტეტში მიწისქვეშა სათავსოებისა და სამუშაოების სპეციალისტები აცხადებენ, მხოლოდ მეტროში კი არა, ნებისმიერ შახტსა თუ სატრანსპორტო გვირაბში დაუშვებელია პლასტიკატების რაიმე ფორმით გამოყენება; მათი თქმით, მეტროპოლიტენი ძალიან დიდი საფრთხის წინაშეა: ხანძრის შემთხვევაში ისედაც გაუმართავად მომუშავე ვენტილაციის სისტემა ვერ უზრუნველყოფს გვირაბის დახურულ სივრცეში დაგროვილი კვამლის გაწოვას და... შესაძლო შედეგებზე წარმოუდგენელია საუბარი. ისე, საინტერესო კია, ახლა მაინც რატომ არავინ იღებს ხმას ამ დანაშაულთან დაკავშირებით, თუ მაინცდამაინც ტრაგედია უნდა დატრიალდეს, რომ დამნაშავეს პასუხი მოვთხოვოთ?! – წერს გამოცემა.

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე პოლიციამ ბათუმში ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე, ბათუმში, ერთდროულად, სასტუმრო „ანა“-ს დირექტორი, 1990 წელს დაბადებული ივერი ს. და სასტუმრო „ჰოლივუდის“-ს მფლობელი, 1989 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე ბეითულლა ბენლი დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაცით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები სისტემატურად აქირავებდნენ ოთახებს სასტუმროებში პროსტიტუციისთვის. სამართალდამცველებმა სასტუმრო „ანა“-სა და სასტუმრო „ჰოლივუდში“ მომუშვე პირები მოწმის სტატუსით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე, სსსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

პოლიციამ ნარკოდანაშაულისათვის ერთი პირი დააკავა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ლანჩხუთში, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 1978 წელს დაბადებული გიორგი ს. დააკავეს.სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თურქეთიდან საქართველოში სხეულით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ შემოიტანა, რომლის წონაც ექსპერტიზის დასკვნით 0,954 გრამია.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას გიორგი ს. „ოპიუმი“-ს ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

თემურ შაშიაშვილი: „ნაციონალებისა და მეოცნებეების გარიგება ხალხმა უნდა ჩაშალოს“

შორენა მარსაგიშვილი

ჩვენს მიავიტანჯუე ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს. ჯაფიშვილმა არ იცის, არჩევნები რა შედეგით დასრულდება, ნაციონალები ჯერ უკვე მეოთე ტურის სამზადისში არიან. მათმა ფაღავანმა დაიბარა, მეოთე ტურისთვის მზად ვართო.

ამ განცხადებაზე მეოცნებეები თავს დიდად არ ინერვიულებენ, თითქოს შეგუებული არიან, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურის დანიშვნა გახდება საჭირო.

ბოროტი ხმები კი კვლავ აქტიურად საუბრობენ მეოცნებეებისა და ნაციონალების გარიგებაზე. ამ მოსაზრებას არასაპარლამენტო ოპოზიცია სრულად იზიარებს, პოლიტიკოსების ნაწილი კი აცხადებს, რომ თუ ბაქრაძეს მეორე ადგილზე გაიყვანენ, აქციებს მოაწყობენ.

ნაციონალებისა და მეოცნებეების შესაძლო გარიგებაზე უკვე კარგა ხანია საუბრობს პარტია „თეთრების“ ლიდერი. თემურ შაშიაშვილის თქმით, მხოლოდ ხალხს შეუძლია, ჩაშალოს მის ზურგს უკან გაკეთებული მზაკვრული გარიგება. ამასთან დაკავშირებით გუშინ შაშიაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს ერთმანეთს შევარდნაძის, საკაშვილის, ივანიშვილისა და მისი პროტეჟე მარგველაშვილის წინასაარჩევნო გამოსვლები. არაფერი ახალი, დაპირებები უხვი, სტილი ერთი და იგივე – ამერიკული.

რომელ დემოკრატიაზეა საუბარი, როცა ხმამაღლა აცხადებენ, 20 წლით მოვდივართ ხელისუფლებაშიო. 20 წლით მოსვლა „გვახარეს“ თავის დროზე „მოქებმა“, 20-წლიანი ვადა დაგვიანონსეს „ნაცებმაც“, არც „მეოცნებეებს“ ეყოთ ოცნება – ვერ გასცდნენ „20 წელს“. არც 18, არც 19 და არც 21 – მხოლოდ 20 წელი. იმაზე მაინც გაგვცენ პასუხი, რომელ დემოკრატიულ ქვეყანაშია ხელისუფლებაში უცვლელად 20 წლით ერთი და იგივე პარტია ან რომელი პარტია აანონსებს 20 წლით მოსვლას. ეს ხომ ქვეყნისა და ხალხის შეურაცხყოფაა.

კიდევ უფრო უარესი: შევარდნაძე ამბობდა, უბრალოდ კი არ უნდა ამირჩიოთ, არამედ დიდი პროცენტით და ეს მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ მეტი მხარდაჭერა მქონდესო. ზუსტად იგივე გაიმეორა საკაშვილმა, ზუსტად იგივე ტერმინოლოგია აქვს მარგველაშვილს. იგივე სიტყვები წარმოთქვა მან ბათუმში მოსახლეობასთან შეხვედრისას.

ამ ტიპის განცხადებების უკან რომ დიდი გაყალბება იგეგმება, ეს ყველა წინა არჩევნებმა დაადასტურა. გაყალბების გარეშე რომ მარგველაშვილის გამარჯვება გამორიცხულია, ამას ხალხის განწყობა ადასტურებს.

არის ერთი, რომელიც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, მარგველაშვილს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს: შეთანხმებულად ერთმანეთის მთავარ ოპონენტებად თვლიან საკუთარ თავს „ქართული ოცნებაც“ და „ნაცმოძრაობაც“. გარიგება მარტივია: „ნაცმოძრაობა“ ითხოვს არა პირველ, არამედ მეორე ადგილს და ამით გაყალბების სრულ თავისუფლებას აძლევს „ოცნებას“. ეს არის მზაკვრული გარიგება ხალხის ზურგს უკან, ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ. ამის შედეგი იქნება დასრულებული კოაბიტაცია, როგორც ეს ამერიკელ პოლიტიკოსებს უნდათ, ხელისუფლებაში ორი პოლიტიკური ძალით – „ქართული ოცნებითა“ და „ნაციონალური მოძრაობით“... ამ გარიგების შედეგი იქნება დაქცეული საქართველო – ამერიკის პოლიტიკური ჯგუფების (თუ სექტების არა) მსახური პარლამენტითა და საერთოდ ხელისუფლებით.

სიტყვა ხალხზეა. ხალხს და მხოლოდ ხალხს შეუძლია, ჩაშალოს მის ზურგს უკან გაკეთებული მზაკვრული გარიგება. მჯერა, ასეც მოხდება, – აცხადებს პარტია „თეთრების“ ლიდერი.

თემურ შაშიაშვილი გუშინ სოჭის ოლიმპიადის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟსაც გამოეხმაურა. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ამ პოზიციას ისინიც იზიარებენ, ვინც ცოტა ხნის წინ სოჭის ოლიმპიადის მიმართ ნეიტრალურად ან დადებითად იყო განწყობილი.

ასეთი რეაქცია კი რუსული მხარის გადაწყვეტილებას მოჰყვა. მათ გადაწყვიტეს, რომ ოლიმპიური მეჩირაღდნე აგვისტოს ომის გმირი ნეჩაევი ჰყავდეთ. შაშიაშვილი აბსოლუტურად გაგებით ეკიდება ჩვენებურების რეაქციას. ამის მიუხედავად, სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს. მისი თქმით, ცდილობენ, მეტად გაგვაღიზიანონ, მეტი შეცდომა დაგვაშვებინონ და ამით მეტი აგრესიის უფლება მიიღონ. „თეთრების“ ლიდერის განცხადებით, მეტი სიბრძნე და ნაკლები ემოციაა საჭირო ქვეყნის მართვაში.

– დრო და მოვლენათა განვითარება ადასტურებს ჩვენს შეფასებას იმის თაობაზე, რომ რუსეთის ლანძღვით ვებრძვით საქართველოს და კეთდება რუსეთის საქმე. მხოლოდ ქვეყნის მტერს შეეძლო ეთქვა გაეროს ტრიბუნიდან ის სიტყვა, რომლითაც სააკაშვილი გამოვიდა. რუსეთისა და პუტინის ლანძღვამ ამ უკანასკნელს მისცა საქართველოს წინააღმდეგ თავისუფალი ქმედებების საშუალება. ამ გამოსვლის შემდგომ საზღვარი მეტი სიჩქარით მოცოცავს თბილისისაკენ, დაიწყო საუბარი ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე ექსპორტის ხელშეკრულების გადახედვაზე, გამოჩნდა პირველი ნიშნები რუსეთში ქართველების შევიწროებისა. რუსეთმა ოლიმპიური ჩირაღდანი ცხინვალის ომის მონაწილე რუსეთის გმირთან დააკავშირა. არ ვეჭვობ, ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ რაც შეიძლება მეტად გაგვაღიზიანონ, მეტი შეცდომები დაგვაშვებინონ და ამით მეტი აგრესიის უფლება მიიღონ.

ამის პარალელურად, რუსეთი და ამერიკა კიდევ უფრო ათბობენ ერთმანეთთან ურთიერთობებს: ყველაზე დიდი მხარდაჭერა პუტინის ნობელის პრემიაზე წარდგენამ სწორედ ამერიკაში მიიღო. სააკაშვილის მეგობარი დონალდ ტრამპი წარმოუდგენლად აქებს პუტინს და მსოფლიოში ყველაზე გავლენიან პიროვნებად მიიჩნევს. არც პუტინი იშურებს ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ქება-დიდებას.

მთელი მსოფლიო ცდილობს, რომ რუსეთი არ გააღიზიანოს, არ მისცეს მას მისი ქვეყნის მიმართ თავისუფალი ქმედებების საბაბი, ჩვენ კი პირიქით ვაკეთებთ და მერე გვიკვირს, რატომ ვართ ამ დღეში. სხვა ქვეყნის საგარეო უწყებაში დაწერილმა სიტყვამ, რომელიც სააკაშვილმა გახმოვანა გაეროს ტრიბუნიდან, იმ ქვეყანას პოზიტიური შედეგები მისცა, საქართველოსთვის კი ქვეყნის დამანგრეველი პროცესების გაძლიერების ახალი სტიმული გახდა.

დრო ადასტურებს, ჩვენი ქვეყნის ისტორია გვეუბნება, რომ საქართველოს მომავალი მხოლოდ იმ ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული, რომელიც ქვეყნის გარედან არ იმართება, რომელსაც აქვს მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ახერხებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე სხვა ქვეყნების – განსაკუთრებით დიდი ქვეყნების ინტერესების დაფუძნებას და არა პირიქით, როგორც ამას „მოქკავშირი“, „აღორძინება“, მათი მემკვიდრე „ნაცმოძრაობა“ აკეთებდნენ და რისი ნიშნებიც სერიოზულად ჩანს „ქართულ ოცნებაშიც“. მეტი სიბრძნე და ნაკლები ემოციაა საჭირო ქვეყნის მართვაში, – მიიჩნევს თემურ შაშიაშვილი.

ზაქარია ქუცნაშვილი: „ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ყველაფრის დათმობა არ ღირს“

შორენა მარსაგიშვილი

სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით ვნებათაღელვა არ ცხრება. საქართველოს ხელისუფლება არ გამორიცხავს, უარი თქვას 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა რუსეთის ხელისუფლება. ამ ეტაპზე რუსეთის ხელისუფლება ძალიან გამომწვევად იქცევა და თუ ასე გააგრძელეს, დიდი შანსია, მართლაც დავემშვიდობოთ ამ ოლიმპიადას, სადაც მედლების მოპოვების მინიმალური შანსიც კი არა გვაქვს.

სოჭთან დაკავშირებით თავიანთ პოზიციებს დაუზარებლად აფიქსირებენ ოპოზიციის თუ ხელისუფლების წარმომადგენლები. მათი კომენტარებიდან ნათელი ხდება, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადას ყველა ცუდი თვალით უყურებს. ადრე მას მარტო ნაციონალები ეწინააღმდეგებოდნენ, ახლა კი მეოცნებეებმაც გამოხატეს თავისი აღშფოთება.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ყველაფრის დათმობა არ ღირს. ეს განცხადება ქუცნაშვილმა „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ყველაფრის დათმობა არ ღირს. ეროვნული ღირსება ღირებულებაა, რომელიც არ შეიძლება, იყოს გაცვლილი. რუსეთის ფედერაციას მივმართეთ, რომ თუ რუსეთის ხელისუფლება გადაწყვეტს, ეს სპორტული ფორუმი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს, დარჩენილი ოთხი თვის განმავლობაში შესაძლებელია, გადაწყვეტილება გადასინჯულ იქნეს. ჩვენ ამ ეტაპზე ამ საკითხში ზომიერი პოზიცია გვიჭირავს და მათგან საპასუხო ნაბიჯებს ველით ჩვენ გვსურს, ურთიერთობების გაუმჯობესება. ამ კუთხით მთელი რიგი ნაბიჯებია გადადგმული, სატრანსპორტო, სავაჭრო, ჰუმანიტარული. რუსეთთან ურთიერთობები მკვეთრად გაუმჯობესებულია და ამას მხოლოდ დაუნახავი ვერ დაინახავს. აქვე გეტყვით, რომ რუსეთის ბაზარი საკმაოდ რისკიანია. წელს რუსეთის ფედერაციაში 5 მილიონი ბოთლის გატანა იყო დაგეგმილი და ჩვენ უკვე 8 მილიონი ბოთლი ღვინო გვაქვს გაყიდული, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ყოფილი კულტურის მინისტრი ნიკა რურუა. აგვისტოს ომის შემდეგ ის ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ნეჩაევის მეჩირაღდნეობის ამბავმა კი რურუა მთლად აღაშფოთა. მისი განცხადებით, ნებისმიერი თავმოყვარე ერი ასეთ ღია და თავხედურ გამოწვევას ადეკვატურად უპასუხებდა. „პირველი რადიოს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე რურუამ განაცხადა, რომ რუსეთი მსოფლიოს თვალში ცდილობს გაათეთროს და დააკანონოს ის მონაპოვარი, რომელიც მან 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მიიღო.

– გაუგებარია, რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში, მე არ მესმის არგუმენტები, რატომ უნდა წავიდეთ იქ. ნებისმიერი თავმოყვარე ერი ასეთ ღია და თავხედურ გამოწვევას ადეკვატურად უპასუხებდა. ოლიმპიადაზე ჩვენი წასვლით ხაზს გავუსვამთ იმას, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში მთლად მტყუანი არ იყო. ეს იქნება ერთი პატარა დათმობა, რომელიც რუსებს კიდევ უფრო გაათამამებს. ჩვენი ძალა არის ჩვენ უარში, რომ არ შევეგუოთ ოკუპაციას. იმ ოთხი სპორტსმენის ინტერესი, რომლებსაც უნდათ ოლიმპიადაზე წასვლა, ჩვენი დევნილების ინტერესს არ ამეტებს.

რუსეთი ცდილობს, ჩვენი მხნეობა დაამარცხოს. რუსეთთან ნებისმიერი დათმობა იქნება აღქმული, როგორც აუცილებლობა. ჩვენ თუ შევურიგდით ამ სიტუაციას, არანაირი დეოკუპაცია აღარ მოხდება. ჩვენი ძალა არის ჩვენი არაღიარება და ოკუპაციაზე უარის თქმა. საინტერესოა, რომ ოლიმპიადაზე წასვლის თანხმობა ოლიმპიურმა კომიტეტმა სააკაშვილის მმართველობის დროს გასცა, თუმცა მე მაშინაც არ ვიყავი მომხრე ოლიმპიადაზე წასვლის, – განაცხადა რურუამ.

ნიკა რურუა აცხადებს, რომ ელენე გედევანიშვილს უმძიმს ოლიმპიადაზე გამოსვლა და ელოდება სახელმწიფოს გადაწყვეტილებას. მისი თქმით, გედევანიშვილი თანახმაა, საერთოდ არ წავიდეს ოლიმპიადაზე.

– ჩვენი სპორტსმენებისადმი მაქვს მხოლოდ პატივისცემა, რადგან ისინი პროფესიონალები არიან, თუმცა მეორე მხარეს არის ჩვენი სახელმწიფოსა და დევნილების ინტერესები, იმ ოთხი სპორტსმენის ინტერესი, რომლებსაც ნამდვილად უნდათ და ლეგიტიმურად უნდათ ასეთ მაღალ ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება და არ ამეტებენ სახელმწიფოსა და ასიათასობით დევნილის ინტერესებს.... მე ვიცი, რომ ელენე გედევანიშვილს ძალიან უმძიმს გამოსვლა და ელოდება სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, ის თანახმაა, საერთოდ არ წავიდეს, ამბობს, რომ ძალიან უმძიმს იქ წასვლა და, თუ იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოს მხრიდან, არ შეეწინააღმდეგება. ამას ამბობს სპორტსმენი, რომელსაც ყველაზე, ყველაზე მეტი შანსი აქვს ამ ოლიმპიადაზე, – განაცხადა რურუამ.

საგანგებო განცხადება გააკეთა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემაც.

– მე რომ სპორტსმენი ვიყო, არ წავიდოდი, – განაცხადა „პირველი რადიოს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ვაშაძემ.

ყოფილი მინისტრის განცხადებით, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს ჯერ კიდევ აქვს დრო იმისთვის, რომ მიმართოს თხოვნით ოლიმპიურ საერთაშორისო კომიტეტს და უზრუნველყოს ის, რომ ქართველი სპორტსმენები სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით არ გამოვიდნენ და მათი გამარჯვების შემთხვევაში გაიჟღეროს არა საქართველოს, არამედ ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნმა.

– მას შემდეგ, რაც რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება, განეხორციელებინა ეს პროვოკაციული ნაბიჯები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, მას შემდეგ, რაც რუსეთის „გმირს“ ანდეს ეს ჩირაღდანი და აკრედიტაცია გაუკეთეს სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენელ ჟურნალისტებს, მე რომ ვიყო სპორტსმენი, არ წავიდოდი და ქვეყნის ხელისუფლებაში რომ ვიყო, მტკიცედ ვიტყოდი, რომ წასვლა ახლა არ ღირს, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

მოქალაქეები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვს, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ლევან ყიფიანს სოჭის ოლიმპიადაზე ბოიკოტის გამოცხადებისკენ მოუწოდებენ.

– გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება შეცვალონ. მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლება 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას სისტემატურად არღვევს და საოკუპაციო ზოლის გადმოწევას ახდენს, ვთვლით, რომ ყოვლად გაუმართლებელი იქნება საქართველოს მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში. უკანასკნელი თვეების განმავლობაში საოკუპაციო ძალების ქმედებების შედეგად დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომისა და სასმელ-სარწყავი წყლის გარეშე აღმოჩნდა. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებასა და საკუთარი სოფლებიდან განდევნას. ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო შეურაცხყოფას ემსახურება რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 2008 წლის აგვისტოს ომის ე.წ. გმირი აანთებს ოლიმპიურ ჩირაღდანს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის პროტესტის გამოცხადება იქნება საქართველოს ხელისუფლების ადეკვატური ნაბიჯი და პასუხი რუსეთის მიერ აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფაზე. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გამოხატოს პროტესტი რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ განხორციელებული ქმედებების წინააღმდეგ. სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმა იქნება მსოფლიო თანამეგობრობისადმი გზავნილი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება არასოდეს შეეგუება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. იმედს ვიტოვებთ, ქვეყნის ხელისუფლება რეაგირების გარეშე არ დატოვებს ხელმომწერთა მოწოდებას, – ნათქვამია განცხადებაში.

ყოველდღიური
ყოფითი
წვრილმანები
წყდება
ინდივიდუალურად

მნიშვნელოვანი
საკითხები
წყდება
ურთიერთთანხმობით

სამართლიანობის
საკითხი
წყდება ერთხმად



ხელისუფლების
საკითხი კი წყდება
მხოლოდ
საყოველთაო
დემოკრატიული
არჩევნების გზით

დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია

www.cesko.ge

ალეკო შალამბერიძე: „გაუქმდეს „სითი პარკსა“ და თბილისის მერიას შორის დადებული კაბალური ხელშეკრულება!“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, რომ „სითი პარკი“ აღებულ პირობებს ვერ ასრულებს და, შესაბამისად, მასთან, როგორც კომპანიასთან თბილისის მერიამ ხელშეკრულება უნდა გააუქმოს.

გუშინ ალექსანდრე შალამბერიძემ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და „სითი პარკის“ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე ისაუბრა.

„თავისუფალი საქართველოს“ წევრი გამოდის მოთხოვნით, რომ ხელშეკრულება, რომელიც კომპანიას მერიასთან აქვს, დაუყოვნებლივ გაუქმდეს.



– გაუქმდეს „სითი პარკსა“ და თბილისის მერიას შორის დადებული კაბალური ხელშეკრულება! – ამბობს შალამბერიძე.

„თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელი კორუფციულ გარიგებაზე საუბრობს, რომელიც, შალამბერიძის თქმით, მერიის მაღალჩინოსნებსა და „სითი პარკს“ შორის არსებობს.

– ხელშეკრულება, რომელიც დაიდო თბილისის მთავრობასა და „სითი პარკს“ შორის თბილისში პარკირების სფეროს ექსკლუზიურ მართვასთან დაკავშირებით, წარმოადგენს კორუფციულ გარიგებას მერიის მაღალჩინოსნებსა და კომპანია „სითი პარკს“ შორის, კონკრეტულად კი ქალაქის მერი უგულავა და მაშინდელი ვიცემერი მამუკა ახვლედიანი, რომლის ხელმოწერაც ამშვენებს მოცემულ კაბალურ ხელშეკრულებას.

„სითი პარკის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა აშკარაა. ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6-თვიანი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის ინფორმირების კამპანიას, პარკირების საფასურის გადახდის ეკრანიანი და ფიჭური სისტემების დამონტაჟებას, მიწისქვეშა, მიწისზედა და მრავალსართულიანი პარკინგების მოწყობას, არც ერთი არ შესრულებულა, – ამბობს ალექსანდრე შალამბერიძე.

შალამბერიძე აცხადებს, რომ ტროტუარებზე არსებული ნიშნები, რომელიც გამოყოფილია მანქანებისთვის ფეხით მოსიარულეთა უფლებებს ზღუდავს და ასევე მათ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს.

– სამაგიეროდ რეკორდულ დროში დამონტაჟდა „დგომა – გაჩერების“ ამკრძალავი ნიშნები, დაიხაზა ტროტუარები (რითაც საფრთხე შეუქმნეს ფეხით მოსიარულეებს) და დაიწყო ავტომანქანებზე ნადირობა მოსახლეობისაგან ფულის წართმევის მიზნით.

თბილისის მერიამ, რომლის ხელმძღვანელობაც კორუფციულ გარიგებაშია „სითი პარკთან“, „ნანადირევი“ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სპეცსადგომზე გადაყვანის საფასურის განსაზღვრაც „სითი პარკს“ მიანდო, საიდანაც თბილისის ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შედის. თანხა კი ძალიან დიდია. ავტომფლობელებს საკუთარი ავტომანქანების გამოხსნა მინიმუმ 70 ლარი უჯდებათ, – აცხადებს შალამბერიძე.

„თავისუფალი საქართველო“ მოითხოვს, დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი პარტიის მიერ შეტანილ წერილზე და დაიწყოს კაბალური ხელშეკრულების გაუქმების პროცესი, ასევე მერიამ შეიმუშაოს დედაქალაქში მანქანების პარკირების ოპტიმიზაციის გეგმის პროექტი და წარუდგინოს თბილისის საკრებულოს განსახილველად.

წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც შალამბერიძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, საპროტესტო აქციებით გამოსვლას არ გამორიცხავს.

სანდრო თვალჭრელიძე: „გუდვილს“ ყოფილმა ხელისუფლებამ ძალიან დიდი ფული წაართვა“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძესთან:

– „ქართული ოცნების“ მხრიდან დაპირება იყო, რომ ბიზნესი ყოველგვარი სახელისუფლებო წნეხისგან გათავისუფლდებოდა, შეგიძლიათ თქვათ, რომ დღეს წნეხი არ არსებობს და ბაზარი მონოპოლიებისგან თავისუფალია?

– არა, არ შემიძლია ვთქვა, რომ ბაზარი მონოპოლიებისგან თავისუფალია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობა აშკარაა. ვიცი, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში კანონი მუშავდება ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ. ეს კანონი თითქოს იანვრიდან უნდა ამუშავდეს. უნდა აღვნიშნო, რომ მთავრობის წევრები ნამდვილად ფიქრობენ ამ საკითხზე და სათანადო ნაბიჯებსაც დგამენ.

– რეალურად რა უნდა გაკეთდეს, სურვილი საკმარისია?

– არა, მხოლოდ სურვილი, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. საჭიროა შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება, სხვადასხვა კანონმდებლობის გაანალიზება, რომელიც უკვე მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში. თუმცა, ეს ასე მარტივი არ არის. მხოლოდ სურვილით არაფერი კეთდება.

– ამ მიმართულებით სწორი ნაბიჯები იდგმება? ორიენტირი სწორი აქვს ახალ ხელისუფლებას?

– ვფიქრობ, რომ სწორი ნაბიჯები იდგმება. გუნდი მუშაობს, არსებობენ უცხოელი კონსულტანტები. ზუსტად ისე კეთდება, როგორც საჭიროა. ნაჩქარევი არაფერი ვარგა. ვფიქრობ სწორად მუშაობენ, კანონპროექტი მოგვიანებით გამოქვეყნდება საჯარო განხილვისთვის და ვნახავთ, როგორი იქნება. ან მოვიწონებთ, ან შეიძლება სერიოზული შენიშვნები გავაკეთოთ.

– კონკრეტულ საკითხებზე რომ ვისაუბროთ, მაგალითად, საწვავის ბიზნესზე, რომლის მონოპოლიაც აშკარაა, იყო დაპირება, რომ უფრო დაბალი ფასები იქნებოდა, რატომ ვერ მოხერხდა, როგორ ფიქრობთ, ამის მიღწევა?

– საწვავის ბიზნესი ერთი მარტივი სეგმენტია, რადგან ეს ეხება, როგორ უნდა იყოს მფლობელობაში ბიზნესი, სააქციო საზოგადოება უნდა იყოს და ა.შ. კანონი, რომელიც დღეს არსებობს, აბსოლუტურად არ ვარგა. არ შეიძლება, მფლობელი ფლობდეს აქციების 51 პროცენტს. ეს აკნინებს კაპიტალურ ბაზარს. შესაბამისად, ცვლილებებია შესატანი და ეს ეკონომიკურ გუნდს კარგად აქვს გააზრებული. საწვავის ბაზარი ფასების დადგენისთვის წარმოებული კარტელური მოლაპარაკებების ერთ-ერთი გამოვლინებაა. მეჩვენება, რომ მთავრობა აქაც დგამს შესაბამის ნაბიჯებს. პრემიერ– მინისტრმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ძალიან მალე საწვავი გაიაფდება.

– თუმცა, უკვე იყო ასეთი დაპირება, მართალია, არა უშუალოდ პრემიერისგან, მაგრამ რეალურად რამდენად შესაძლებელია?

– აბსოლუტურად შესაძლებელია და რეალურია.

– კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, როგორც ექსპერტმა რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ?

– ბაზრის დივერსიფიკაცია უნდა მოხდეს, არ შეიძლება, კონკრეტულად ერთ მომწოდებელზე იყოს ჩამოკიდებული, შესაბამისი ქმედებები, რომ ეს ასე არ იყოს ახლა ხდება. მე დეტალურად ამაში ჩახედული არ ვარ, რადგან ეს მთავრობის პრეროგატივაა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ შესაბამისი ნაბიჯები იდგმება.

– რაც შეეხება ელექტრო მატარებლებს, ამ შემთხვევაშიც მონოპოლიასთან გვაქვს საქმე თუ რა ხდება? ბაზარი ხომ არ არის დივერსიფიცირებული...

– არც შეიძლება, დიდად იყოს, რადგან საქმე გვაქვს ბუნებრივ მონოპოლიასთან და ამიტომ ამ შემთხვევაში ამის გაკეთება არ შეიძლება. ელექტროენერგიაზე ტარიფის შემცირება არ შეიძლება. არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ გვჭირდება ენერგეტიკის სექტორის განვითარება და თუ ძალიან დაბალი ტარიფი იქნა დადგენილი, მაშინ საქართველო მიმზიდველი არ იქნება ინვესტორებისთვის. ვერ ამოიღებენ ინვესტიციას. ამიტომ ინვესტორების მოგება და მოსახლეობის ინტერესები სააფთიაქო სასწორზე უნდა იყოს აწონილი. ტარიფის გაიაფებას სჯობია, შემწეობები გაიცეს, სოციალურად დაუცველი ფენის სუბსიდირება მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 111 ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც ასაშენებელია, ვერ განხორციელდება.

– თქვენ ჰიდროელექტროსადგურების აშენების მომხრე ხართ?

– რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია. ჩვენ მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარების კუთხით რეგიონში მხოლოდ მოლდოვას ვუსწრებთ, დანარჩენებს ჩამოვრჩებით. ჩვენთან ელექტროენერგიის მოხმარება დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებია. თუ გვინდა ეკონომიკის განვითარება, აუცილებლად უნდა განვითარდეს ენერგეტიკის სფერო. ამიტომ ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი საკუთარი რესურსი. ალტერნატივა ასეთია: ან ჩვენ ავაშენებთ ჰიდროელექტროსადგურებს, ან ბირთვული სადგურის აშენება მოგვიწევს. სხვა გამოსავალი არ არის.

– ბატონო სანდრო, სულ სხვა სეგმენტზე მინდა გკითხოთ. ჰიპერმარკეტმა „გუდვილმა“ განცხადება გაავრცელა გაკოტრებასთან დაკავშირებით.

– მათ უზარმაზარი პრობლემები აქვთ.

– შეიძლება, მათი პრობლემა ინდიკატორი იყოს?

– არა, რადგან „გუდვილს“ ყოფილმა ხელისუფლებამ ძალიან დიდი ფული წაართვა, განსაკუთრებით „მარშეს“. მათ ააშენეს უზარმაზარი გადამამუშავებელი ევროპული დონის ქარხანა, ძალიან მძლავრი საწარმოოა, მაგრამ უზარმაზარი პრობლემები დაუდგათ.

– მიზეზი მხოლოდ წინა მთავრობის დამოკიდებულებაა ბიზნესისადმი?

– დიახ. რამდენადაც ვიცი, ახალი ხელისუფლება ფიქრობს, თუ როგორ დაეხმაროს ჰიპერმარკეტ „გუდვილს“. მათი დიდი პრობლემები დაკავშირებულია არა ბიზნესის არასწორ გათვლასთან, არამედ ყოფილი ხელისუფლების საშინელ ზეწოლასთან. დაახლოებით 100 მილიონამდე წაართვეს. „გუდვილისადმი“ დამოკიდებულება იყო არსებული ტენდენციის ერთ-ერთი გამოვლინება. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, თუ როგორ ეპყრობოდა ბიზნესს სააკაშვილის ხელისუფლება. ბიზნესი იყო მეწველი ძროხა, რომელსაც წველიდა თავისი ახირებული პროექტების განსახორციელებლად, მაგალითად, ხმაწართმეულ ხოსე კარერასს 23 მილიონი გადაუხადა.

– ამერიკაში არსებულ მდგომარეობაზე მინდა გკითხოთ, დეფოლტამდე შეიძლება მივიდეს საქმე?

– თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა საჭიროდ ჩათვლის, გამოვა და დეფოლტს გამოაცხადებს. ამით ის თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, „რესპუბლიკელებს“ მოერევა. კონგრესში უმრავლესობა „რესპუბლიკელებს“ აქვთ, უმცირესობა – „დემოკრატებს“. ბიუჯეტის კანონპროექტი, რომელიც კონგრესში ობამამ შეიტანა, ითვალისწინებს ევროპული დონის სტანდარტების სამედიცინო დაზღვევის სისტემის ამოქმედებას, რაც ნიშნავს სოციალურ გადასახადებზე კონტროლის დაწესებას. ამერიკის შეერთებული შტატების საპენსიო ფონდები ბირჟაზე თამაშობენ და იღებენ მოგებას, რომელსაც ჯიბეში იდებენ. სწორედ ამის აკრძალვა უნდა ბარაკ ობამას, რომ სოციალური სისტემისთვის მიმართული ფული არ წავიდეს ზოგიერთი მესვეურის ჯიბეში. ამის წინააღმდეგ იბრძვიან და ამიტომ ჩაუგდეს ბიუჯეტი ობამას. თუმცა, ობამამ არ დაიხია უკან, ახლა მოლაპარაკებებზეა ყველაფერი დამოკიდებული. ობამამ შეიძლება დეფოლტი გამოაცხადოს იმისთვის, რომ სენატი დაითხოვოს და ხელახალი არჩევნები ჩაატაროს.

– შეიძლება თუ არა, კვლავ აღმოჩნდეს დიდი ეკონომიკური დეპრესიის წინაშე ამერიკის შეერთებული შტატები? სხვათა შორის, საერთაშორისო ექსპერტები დიდ ეკონომიკურ დეპრესიაზე ალაპარაკდნენ...

– არა მგონია, რომ საქმე აქამდე მივიდეს. ეს შეფასება გადამეტებულად მეჩვენება, თუმცა ეს რამდენიმე გარემოებაზეა დამოკიდებული.

– კონკრეტულად?

– პირველ რიგში – ობამას გამჭრიახობაზე. სხვათა შორის, ობამამ დაამტკიცა, რომ ის გამჭრიახია, რადგან რამდენიმე ძალიან მარტივი ქმედებით დასძლია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ნურავინ იტყვის, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევა მთლიანად არ იყო ბარაკ ობამას დამსახურება. მეორე გარემოებას რაც შეეხება, ეს გახლავთ ნავთობის საერთაშორისო ფასების ძალიან ხისტი კონტროლი.

– რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს?

– დიახ. ამერიკის კომპანიები მთლიანად აკონტროლებენ ნავთობის ბაზარს.

მიხეილ სააკაშვილი: „საქართველო დიდი საერთაშორისო მოთამაშე ხდება“

ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სურინამის ეროვნული კრების თავმჯდომარე ჯენიფერ სიმონსთან შეხვედრისას განაცხადა. სააკაშვილის თქმით, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი რეფორმატორი ქვეყანაა და სურს, თავის გამოცდილება ქვეყნის გარეთ გაიტანოს.

„საქართველო სულ უფრო მეტ ძალიან საინტრესო ქვეყანასთან ამყარებს ურთიერთობას და ჩვენთვის ეს კონტაქტი მნიშვნელოვანია. ძალიან დაგვეხმარა სურინამი სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებაში იმ პირობებში, როდესაც მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების. საქართველოში გამოშვებული კომპიუტერები ჩვენ გამოვაგზავნეთ სურინამში და სოფლებში დავარიგეთ. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ კომპიუტერებს იყენებენ სურინამელი ბავშვები. საქართველო ხდება დიდი საერთაშორისო მოთამაშე. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ ვინაიდან ჩვენ მსოფლიოს პირველი რეფორმატორი ვართ, ჩვენი გამოცდილებაც გავიტანოთ. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანა ვართ, ბევრი პარტნიორი ვიპოვეთ ძალიან საინტერესო სურინამის სახით“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პირველი

„ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გურჯაანში ამომრჩეველთან შეხვედრა გამართა

კობა დავითაშვილმა მხარდამჭერებს წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო და სოციალური საკითხების მოგვარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

კანდიდატის განცხადებით, სოციალური დახმარებები ოჯახის შემოსავლის რაოდენობით უნდა განისაზღვროს, პენსია კი – სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით.

„ხალხის პარტიის“ ლიდერმა ყურადღება სამართლიანობის აღდგენისა და ანაბრების დაბრუნების საკითხზეც გაამახვილა.

კობა დავითაშვილს ასევე მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა ფლობდნენ. შესაბამისი საკანონმდებლო წინადადების ინიცირებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატი ხელმოწერებს აგროვებს.

პირველი

შალვა ნათელაშვილი: „თუ მხარდაჭერა მექნება, საქართველოს ამ გველეშაპებისგან გათავისუფლებას ვპირდები“

ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა შალვა ნათელაშვილმა ყვარლის რაიონის სოფლების მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრაზე განაცხადა. „მეღვინეობა და მევენახეობა ერთხელ და სამუდამოდ გახდება ჩვენი მაპროფილებელი. უნდა მორჩეს კახელების წამება, ყურძნის მათხოვრულ ფასად ჩაბარება. დანარჩენს იმას ვპირდები, რასაც დანარჩენ საქართველოს, ამ გველეშაპებისგან გათავისუფლებას ვპირდები, თუ მექნება მხარდაჭერა. ჩამოიყვანეთ ნავარო და ყალბი რეიტინგის სპეციალისტები და შეეკითხეთ ხალხს, უჭერენ ვინმეს მხარს ჩემს გარდა? ერთი-ორი შეიძლება, სხვა შეხედულება ჰქონდეს თავისი და პატივსაცემია. დანარჩენი უმრავლესობა მიჭერს მე მხარს და ძალიან ვთხოვ ამ ყალბისმქნელ სოციალური კვლევის სააგენტოებსა თუ ნავაროებს, თუ ბიგვავებს, თუ ივანიშვილებს, დაანებონ თავი ტყუილი ციფრების ჯღაბნას, ხალხმა გამოსცადა ყველა, ყველაზე გულგატეხილია, იმედგაცრუებულია და დღეს ჩვენი იმედი აქვს და ამას არ გავუმტყუნებთ, არ ვიქნებით მაგათნაირი“, – განაცხადა ნათელაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატს გამარჯვების შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარების საკუთარი სტრატეგიაც აქვს შემუშავებული.

პირველი

ჯონდი ბაღათურია: „ქართული ოცნება“ ცდილობს, ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანოს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

— ბატონო ჯონდი, ძალიან ცოტა დრო რჩება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, გაგანია საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს... როგორია თქვენი შეფასებები მიმდინარე პროცესებზე? რამდენად არის მოსალოდნელი ქაოსი იმ ფონზე, როდესაც ყველა სოციოლოგიურ კვლევაში დავით ბაქრაძე ურყევად მეორე ადგილს იკავებს. რამდენად არის ქართველი ხალხის არჩევანი, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე იხილონ?

— ეს სიცრუეა, რომ თითქოს ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მეორე ადგილს იკავებს. ამ სიცრუეს ნაციონალური მოძრაობა, მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები, „ექსპერტები“ და „ქართული ოცნება“ ერთობლივად ავრცელებს. ეს ხორციელდება იმ მიზნით, რომ „ქართულ ოცნებას“ სჭირდება ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანა.

— რაში სჭირდებათ ეს?

— როდესაც ასეთი სატელიტი და ასეთი დისკრედიტირებული ოპონენტი გყავს, რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილია მასთან ოპონირება. თუ გახსოვთ, ასე აკეთებდა სააკაშვილიც. რატომ ქმნიდა სააკაშვილი სატელიტებს, ახლა აღარ ჩამოვთვლი ამ პარტიებს, ხომ გახსოვთ. სატელიტი ყოველთვის ადვილი სამართავია. ამით გეძლევა საშუალება იმ ოპოზიციური ძალების დაჩრდილვის, რომლებიც რეალურად გიწევენ წინააღმდეგობას. ეს ჩვეულებრივი ცნობილი ტექნოლოგიაა და ამ გზას დაადგა, სამწუხაროდ, ივანიშვილიც. ეს არის სისუსტის მაჩვენებელი და იმის მაჩვენებელიც, რომ ისინი ძალიან კარგად ხვდებიან, რომ საქმე კარგად ვერ მიდის. თუმცა ჩვენ ქაოსს არ დავუშვებთ, ჩვენ ვიქნებით ხალხთან ერთად ქუჩაში. თუკი ეს სცენარი გათამაშდა, ამას მოჰყვება აუცილებლად საპროტესტო აქციები. ჩვენ დაკავებული ვიქნებით ამ საპროტესტო მუხტის ორგანიზებით, რომ ეს პროტესტი არ გადაიზარდოს ქაოსში. საპროტესტო ტალღა იქნება, მაგრამ ეს იქნება მშვიდობიან და კონსტიტუციურ კალაპოტში მოქცეული.

— თქვენ ფიქრობთ, რომ შეესაძლოა, გაყალბებას ჰქონდეს ადგილი ოცნებისა და ნაცების სასარგებლოდ? კომისიებიც ხომ მხოლოდ მათი წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული...

— ამის მცდელობა ნამდვილად არის, რომ ბაქრაძე გაიყვანონ მეორე ადგილზე. ამას ყველაზე დიდი თავგამოდებით „ქართული ოცნება“ ცდილობს და არანაკლები თავგამოდებით, ვიდრე თვითონ ნაციონალური მოძრაობა.

— სწორედ ამას გეკითხებით, ცდილობენ, მაგრამ გაყალბების გარეშე ამას როგორ შეძლებენ?

— გაყალბებაში თუ თქვენ იმას გულისხმობთ, რომ ბიულეტენებს ჩაყრიან ან კარუსელს გააკეთებენ, მე არა მგონია, ამაზე წავიდნენ. თუმცა თქვენც აღნიშნეთ, რომ კომისიები სრულიად უკონტროლოა, მხოლოდ ეს ორი პარტია აკონტროლებს, ამიტომ დაჩემებით ვერაფერს დავიჩემებ. თუმცა მანამდე ქმნიან მოლოდინებს და ხელს უწყობენ, რომ წინასწარი ფონი იმისი და წინასწარი განწყობა საზოგადოებაში იყოს ასეთი, რომ თითქოს ბაქრაძე გადის მეორე ადგილზე. არის ასეთი განწყობა და ჩვენ ამას ვამჩნევთ. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ პოლიტიკურ პარტიებში კონსულტაციების რეჟიმს, რაშიც ვმონაწილეობთ ნაწილი პარტიები და რა ვიცი, ვნახოთ, ჩვენ არ უნდა დავუშვათ ამის გაკეთება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს სოციოლოგიური კვლევები საზოგადოების აზრის შეჩვევას ემსახურება, რომ შესაძლოა ასეთი სურათი დაიდოს?

— დიახ ასეა. საქართველოში სოციოლოგიური კვლევები დიდი ხანია უკვე გადაიქცა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად. ეს არის არა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, არამედ საზოგადოებრივი აზრის მომზადება მოსალოდნელი შედეგისთვის. იკვლევენ საზოგადოებრივ აზრს, მერე ხდება ამის დამახინჯება, ისე, როგორც თვითონ სურთ, რომ განვითარდეს პროცესები.

— არჩევნების შემდეგ რა პროცესებს ელით?

— მე არ მიყვარს წინასწარ პროგნოზირება, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“, ამ ფარული, სამარცხვინო გარიგების რეალიზება! ეს ერთი და მეორეც, ჯერ კიდევ ოპოზიციას აქვს შანსი, რომ იბრძოლოს გამარჯვებისთვის. ეს შანსი ნამდვილად აქვს.

— ამ შანსში რა იგულისხმება, ბატონო ჯონდი?

— ერთიანობა იგულისხმება. ეს არის ერთიანობის შანსი. თუ ოპოზიცია პოზიციებს შეაჯერებს, თუნდაც ახლა მაინც და მოხდება რაღაც შეთანხმება ერთიანი კანდიდატის ირგვლივ, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა შანსი, რომ გაგვემარჯვა ამ არჩევნებში. პირველ რიგში ეს სახელმწიფოსთვის იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენ მივიღებთ დაბალანსებულ მმართველობას, ჩვენ მივიღებთ ისეთ სახელმწიფოს, სადაც ერთი კაცი არ აკონტროლებს ძალაუფლების ყველა შტოს და ეს ერთი კაციც ახლა პოლიტიკიდან წასვლას აპირებს. თუ გაიმარჯვებს მარგველაშვილი, ჩვენ მივიღებთ იმას, რომ გადამდგარი პრემიერ-მინისტრი გააკონტროლებს ძალაუფლების ყველა შტოს. ჩვენ დავემსგავსებით არა განვითარებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს, არამედ ისეთ საქართველოს, სადაც გვერდიდან მართავენ მთავრობას, პარლამენტს და პრეზიდენტის ინსტიტუტს. ჩვენ არ გვინდა გვერდიდან მართული მთავრობები. გვერდიდან მართვაზეც რომ არ იყოს საუბარი, ჩვენ გვინდა, რომ დაბალანსებული იყოს პოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობები და იყოს კონკურენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება, ძალაუფლების ყველა შტოს აკონტროლებდეს ერთი და იგივე პოლიტიკური პარტია. ამას მიჰყავხარ მერე პოლიტიკურ მონოპოლიამდე. რაც ჩვენ ვნახეთ შევარდნაძის დროსაც და სააკაშვილის დროსაც თუ რითი მთავრდება. მე ვერ ვხედავ უკეთეს ხალხს „ქართულ ოცნებაში“, კი არიან წესიერებიც, მე ამას ყოველთვის ხაზს ვუსვამ, იქ ბევრი ჩემი მეგობარიც არის, არ ვკარგავ მათ მნიშვნელობას, მაგრამ ისინი გავლენას ვერ ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე. ისინი არიან გვერდზე გაწეული და გადაწყვეტილებებს იღებენ და ივანიშვილზე გავლენა აქვთ მლიქვნელებს, რომლებიც დაკავებულები არიან პირად კეთილდღეობაზე ზრუნვით და არა სახელმწიფოს გაძლიერებაზე ზრუნვით. მე ვერ ვხედავ ახლა დიდი განსხვავებას ოცნებას ექნება ეს მონოპოლია თუ ნაციონალურ მოძრაობას. არც ნაციონალურ მოძრაობას დაუწყია თავიდან ცოცხებით, კარგად დაიწყო ნაცმოძრაობამაც, მაგრამ ცოცხებამდე მივი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

საია ახალაიას პროცესს ეხმიანება

შორენა გონგლაძე

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ საქმეში არადამაჯერებელი ფაქტებია, რაც ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. საიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია:

„პროკურორ რევაზ ნადოის 17 სექტემბერს საქმეზე უნდა წარმოეთქვა დასკვნითი სიტყვა, რაც ვერ მოხერხდა ამავე პროკურორის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო (აღსანიშნავია, რომ წინა დღეს, 16 სექტემბერს, პროკურორი ნადოის წერილობითი განცხადების საფუძველზე გადაიდო საქმე მეგის ქარდავასა და სხვათა მიმართ. წერილობით განცხადებაში პროკურორი მიზეზად ახალაიას სხდომაზე დასკვნითი სიტყვისათვის მზადებას ასახელებდა. ბაჩო ახალაიას საქმეზე ჩატარებულ მომდევნო სხდომაზე რევაზ ნადოის გამოუცხადებლობის მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დასახელდა, თუმცა საქმეში ამ დრომდე არ არის წარმოდგენილი ცნობა, რაც აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს.

19 სექტემბერს საქმეში ჩაერთო პროკურორი ია დარჯანია, რომელმაც თავდაპირველად მოითხოვა პროცესის გადადება 30 დღით, იმ მიზნით, რომ საჭიროებდა საქმის მასალების გაცნობას. მას ამისათვის მიეცა 10 დღე. 30 სექტემბრის სხდომაზე პროკურორი დარჯანია ისევ მოუმზადებელი გამოცხადდა და ითხოვა დამატებით 20 დღე საქმის მასალების გასაცნობად, მოსამართლემ დამატებით 7 დღის ვადა განუსაზღვრა. ხოლო დღევანდელ სხდომაზე ია დარჯანიამ თვითაცილების შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. პროკურორმა ია დარჯანიამ შუამდგომლობაში მიუთითა, რომ ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის მსგავსად, იყო დევნილი აფხაზეთიდან, მათ ჰყავდათ ერთი სანაცნობო წრე, რომლის მხრიდან ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა მასზე როგორც პირადად, ისე სოციალური ქსელების მეშვეობით. ასევე ის, რომ მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ კოლეგებთან — ბ. ახალაიას ადვოკატებთან საჯაიასთან და ონიანთან (თუმცა, ეს პირები არ ადასტურებენ მეგობრულ ურთიერთობას, აცხადებენ, რომ მხოლოდ ყოფილი კოლეგები იყვნენ და მათი ურთიერთობა სამსახურებრივს არ გასცდენია). თვითაცილების შესახებ შუამდგომლობა მოსამართლემ დაკმაყოფილა. პროცესზე ჩართულმა პროკურორმა ლევან ადეიშვილმა, იმის გამო, რომ მისთვის გუშინ გახდა ცნობილი პროკურორ დარჯანიას გადაწყვეტილება და საქმე მრავალტომიანია, დამატებითი ვადა მოითხოვა საქმის მასალების გასაცნობად. მოსამართლემ 10-დღიანი ვადა მისცა ბრალდების მხარეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თვითაცილება უნდა იყოს დასაბუთებული. პროკურორ რევაზ ნადოის არ დასაბუთებია, რომ საქმიდან მისი ჩამოცილების მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იყო. რაც შეეხება ია დარჯანიას, მისთვის წინასწარ ცნობილი იყო საქმეში მასთან მეგობრულად განწყობილი პირების ადვოკატად მონაწილეობის ფაქტი, ამის მიუხედავად, მან თავიდანვე არ აიცილა საქმე. ასევე არადამაჯერებელია პროკურორის მტკიცება ბრალდებულის მეუღლესთან საერთო სანაცნობო წრის მიერ მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების თაობაზე. უცნობია როდიდან დაიწყო სანაცნობო წრემ ია დარჯანიაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ამ საფუძვლით რატომ არ დააყენა თვითაცილების შუამდგომლობა 30 სექტემბერს, როდესაც მან მოუმზადებლობის გამო სხდომის გადადება სთხოვა სასამართლოს. გარდა ამისა, საქმის გაჭიანურებით წარმოიშობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის რისკიც. კონვენცია იცავს ადამიანის უფლებას — სასამართლომ მისი საქმე განიხილოს გონივრულ ვადაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დადგენისას მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, საქმის გაჭიანურება ხომ არ არის გამოწვეული სახელმწიფო ორგანოების ქმედებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელმა თავი უნდა შეიკავოს, ხოლო სასამართლომ არ უნდა დაუშვას პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურება, გონივრული ვადების დაცვასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია, მაშინ, როცა საქმის განხილვის გაჭიანურება იწვევს ბრალდებულის პატიმრობაში დატოვებას, — ნათქვამია საია-ს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, რომელიც ყოფილი თავდაცვის მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეს უძღვება, ბრალდების მხარე პროცესის გაჭიანურებაში დაადანაშაულა და პროკურორის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის დღედ 17 ოქტომბერი გამოაცხადა. მესამე პროცესი, რომელიც ციხის ბუნტის საქმეს მოიცავს, უკვე დიდი ხანია საბოლოო ეტაპს მიუახლოვდა, როდესაც ბრალდების და დაცვის მხარეებმა თავიანთი დასკვნითი სიტყვები უნდა წარმოადგინონ; მაგრამ პროცესის ეს ეტაპი უკვე რამდენჯერმე გადაიდო. როგორც ბაჩო ახალაიამ პროცესზე განაცხადა, პროკურორის მიერ დასახელებული მიზეზი მხოლოდ საბაბია პროცესის შემდგომი გაჭიანურებისთვის; ახალაიამ ივარაუდა, რომ ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი არ აქვს და სურს მაქსიმალურად გაწელოს პროცესი, რათა გამამართლებელი განაჩენი არ გამოცხადდეს, რაც 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დარტყმა იქნება როგორც პროკურატურისთვის, ისე მთავრობისთვის. ახალმა პროკურორმა ლევან ადეიშვილმა, რომელმაც დარჯანია შეცვალა, 15 დღე სთხოვა მოსამართლეს საქმის მასალების გასაცნობად. მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ 10 დღე მისცა ახალ პროკურორს და გააფრთხილა, რომ 17 ოქტომბრის იქით მოსმენას აღარ გადაწევდა.

— ერთმნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ბრალდების მხარის ასეთი უპასუხისმგებლო ქცევა სწორედაც ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იმედი მაქვს, რომ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობებიც ხელს შეგიწყობთ, რომ დადგენილ ვადაში გაეცნოთ საქმის მასალებს, — განაცხადა მოსამართლემ.

პედაგოგებს საპროტესტო აქცია ჩაუშალეს

მერი ნამორაძე

პედაგოგების საპროტესტო აქცია განათლების სამინისტროს წინ გუშინ ვერ შედგა. ამის მიზეზად ერთ-ერთი ორგანიზატორი, პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დავით ფერაძე, სკოლების დირექტორთა მხრიდან პედაგოგებზე ზეწოლას ასახელებს. პედაგოგებს სოციალური პრობლემები და არა მხოლოდ ეს უნდა გაეპროტესტებინათ, მაგრამ 500 მასწავლებლის ნაცვლად ათიოდე კაცი გამოცხადდა სამინისტროს შენობასთან.

როგორც ფერაძემ „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, ერთი კვირის განმავლობაში გეგმავდნენ საპროტესტო აქციას:

— მივიღეთ ცნობები, რომ იყო დირექტორებისგან ფსიქოლოგიური ზეწოლა მასწავლებლებზე, „შარში არ გაგვხვიოთო“ და ასეთი სიტუაციები იყო. ამ ეტაპზე 500 კაციანი აქცია გვქონდა დაგეგმილი, მეტს არ ვაპირებდით, ამდენი ადამიანი გვყავდა გაფრთხილებული და ეს ადამიანები დირექტორებმა „დაბეს“ იქ, — აღნიშნა ფერაძემ.

მთავარი მოთხოვნა ხელფასის ზრდა უნდა ყოფილიყო 1000 ლარამდე. ამ მოთხოვნას კარგა ხანია აყენებს საკოორდინაციო ცენტრი, მაგრამ უშედეგოდ. 2014 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პედაგოგთა ხელფასების ზრდა.

გუშინ, თბილისის 150 სკოლის მაგივრად მხოლოდ ორიოდე სკოლის პედაგოგებმა გაბედეს სამინისტროს სიახლოვეს მისვლა. ფერაძემ განაცხადა, რომ ეს იყო ტესტი პედაგოგებისათვის:

— ჩვენ დღეს ძალები მოვსინჯეთ. მთავრობამ შეხედა, აბა რას იზამენ, გამოვლენ თუ არა პედაგოგები. დღეს დასრულდა პედაგოგებზე ნებისმიერი სახის ზრუნვა. დღეიდან ახალი ძალით დაიწყება პედაგოგების აბუჩად აგდება, შეურაცხყოფა, სამსახურებიდან გაყრა და ბრძანდებოდნენ, ბატონო, ეს პედაგოგები დირექტორთა მორჩილებაში. გარდა ამისა, იგივე ბედი ეწევათ დირექტორებს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დირექტორებს ვინმე დაუფასებს, რომ პედაგოგები აქციაზე არ გამოუშვეს, ძალიან ცდებიან. დირექტორთა 90 პროცენტიანი ცვლა არის დაგეგმილი და ამ ყველაფრის მერე ეს ძალიან თამამად და ყოჩაღად განხორციელდება.

ცოტა ხანში ჩვენ მივიღებთ უნიფიცირებულ სკოლებს, სადაც იქნება ცენტრალიზებული მმართველობა — ერთი მინისტრი რასაც ინებებს, ის განხორციელდება. იმიტომ, რომ დღეს ჩვენ დავანახეთ ამის მაგალითი, ჩვენ ვუჩვენეთ, რომ მზად ვართ მონობისთვის, მორჩილებისთვის, თავში ჩარტყმისთვის და ამას არ განიცდის არავინ. ჩემი ბოლო პროტესტი, ალბათ, სკოლიდან წასვლა იქნება, რადგან არ შეიძლება ამ მასაში მუშაობდე ადამიანი, სადაც არ ესმით თავიანთი პრობლემა და სამოქალაქო აქტივობა ნულოვანია. ბავშვებს რა უნდა ასწავლონ?

ლარისა აკოგჯანოვა, 116-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი:

— ვეთანხმები ყველაფერში ბატონ ფერაძეს და მინისტრის ყურამდე მინდა მივიდეს, რომ 5 წლის ასაკის ბავშვების მიღება სკოლაში არ შეიძლება. ადრე 7 წლის ასაკიდან რომ ღებულობდნენ სკოლაში, ეს შემთხვევითი არ იყო. 5 წლის ასაკის ბავშვები არც ფსიქოლოგიურად, არც ფიზიკურად არ არიან მზად სკოლისთვის. მათ თავი ისევ საბავშვო ბაღში ჰგონიათ. ძალიან მალე იღლებიან. მშობლებს ჰგონიათ, ბავშვებს ათამდე დათვლა რომ შეუძლიათ და ორიოდე ასო იციან, შეიძლება სკოლაში შეყვანა. შემოვიდნენ და ნახონ სიტუაცია. ელემენტარულად, ბავშვებს ეძინებათ. გაკვეთილის ჩატარება პირველ კლასში, ვერ გეტყვით, რა არის. თან ბევრნი არიან. პირველივე კლასიდან ინგლისური ენის დაწყება, როცა ბავშვმა მშობლიური ენის ანბანი არ იცის, ცუდად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. მერე, განვითარებით, ბავშვები სხვადასხვა დონისანი არიან. 7 წლის ასაკი, ეს უკვე სულ სხვა ასაკია.

— რა თანხას შეადგენს თქვენი ანაზღაურება ქალბატონო ლარისა?

— 17 საათი მაქვს, ამას დამატებული სადამრიგებლო თანხა და ახლა უნდა მივიღო 397 ლარამდე.

— ამ თანხაში სასერტიფიკაციო დანამატიც შედის?

— არა! მე არ გავალ ტესტირებაზე. დავამთავრე პიატიგორსკის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტიტუტი, მაგისტრი ვარ და ვის რა უნდა დავუმტკიცო? გამოცდას თავისი ასაკი აქვს. მე არ შემიძლია ჩემს ასაკში (50 წელს გადავცილდი) წავიდე გამოცდაზე, იმიტომ კი არა, რომ ვერ ჩავაბარებ. შეიძლება ვერც ჩავაბარო, რადგან ფსიქოლოგიურად ეს საშინელებაა. 20 წლის ბავშვები სულ სხვანაირად აბარებენ გამოცდებს, ჩემთვის კი ეს ფსიქოლოგიური გადატვირთვაა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ცუდი პედაგოგი ვარ. ბევრი ვიცი ისეთი პედაგოგი, რომელმაც სერტიფიკატი გაინაღდა და... იყოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. 28 წლის სტაჟი მაქვს და სულ ვცდილობ მეტად ვიმუშაო საკუთარ თავზე. სულაც არ ვთვლი, რომ 25 წლის პედაგოგი, რომელმაც სერტიფიკატი აიღო, მე მჯობია.

ნანა მეგონიშვილი, 116-ე სკოლის პედაგოგი:

— ჩვენ გვინდა, რომ სამუშაო პირობები გაუმჯობესდეს მასწავლებლისთვის. ამაში იგულისხმება ხელფასების მატება და არა მხოლოდ ეს. თუნდაც, 30-40 ბავშვი რომ ზის კლასში, იქ მინიმალურია ცოდნის გადაცემა.

— ამ რაოდენობის ბავშვებზე კლასი არ იყოფა?

— ჩვენს სკოლაში გვაქვს ბედნიერება და ინგლისურში იყოფა, მაგრამ სკოლების უმრავლესობაში არ იყოფა. როცა კლასში 30-40 ბავშვი გიზის, ეს არის მშობლის და თავის მოტყუება, რომ ბავშვი შესაფერ განათლებას იღებს და სკოლაში სწავლობს.

ჯონდი ბაღათურია: „ქართული ოცნება“ ცდილობს, ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანოს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

და. მივიდა იმის გამო, რომ წინააღმდეგობის გამწევი არავინ ჰყავდა. ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას. როცა ნაციონალური მოძრაობა უსინდისოდ იქცეოდა, მას საზოგადოების ნაწილი და დიდი ნაწილი პოლიტიკური სპექტრისა ტაშს უკრავდა. ზოგი დუმდა უბრალოდ და დუმილით ეთანხმებოდა იმ ძალადობას, რასაც ქვეყანაში ადგილი ჰქონდა. ჩვენ იგივე თუ გვინდა გავიმეოროთ და ამ მზეჭაბუკი „ქართული ოცნებიდანაც“ იგივე გველეშაპი გვინდა შევქმნათ, მაშინ ეს სხვა საკითხია. მე ახლა ზუსტად იმას ვცდილობ, რომ ოცნებისგანაც იგივე გველეშაპი არ ჩამოყალიბდეს, რაც ნაციონალური მოძრაობისგან ჩამოყალიბდა. ამიტომ ვებრძვი ასე თავდადებით ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთობლივად. ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პატიოსანი კაცია და ბევრი ჩემი მეგობარია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში, მაგრამ მათი ხმა არ ისმის და მათი ნაკვალევი არ ჩანს მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ქვეყანას მართავს ორი-სამი ადამიანი, რომლებიც ძირითადად ინტრიგანობითა და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვით არიან დაკავებული.

– ბატონო ჯონდი, ვიდრე პრემიერის წასვლის თაობაზე ვისაუბრებთ, თქვენ განაცხადეთ, რომ ჯერ დაკარგული არაფერია, კიდევ არის შანსი, რომ ოპოზიცია გაერთიანდეს. არსებობს ამ კანდიდატთა შორის ერთი ისეთი კანდიდატი, რომელზეც შეიძლება მოხდეს შეჯერება, რომ სწორედ ამას დაუჭერს მხარს ოპოზიციური სპექტრი? გეგულებათ ასეთი კანდიდატებს შორის?

– იდეალური ადამიანები არ არსებობენ, ამიტომ იდეალური კანდიდატებიც არ არსებობენ. მადლობა ღმერთს, არსებობენ ისეთი კანდიდატები, რომლებთანაც რაღაცა მოლაპარაკება შეიძლება შედგეს. ვიცით, ვინც არიან კანდიდატები. ეს არის ის რაც არის, ამიტომ ჩვენ არსებული რეალობიდან გამომდინარე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები და ყველაფრის დაწუნება შორს ვერ წაგვიყვანს. არსებული კანდიდატებიდან, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ მოხდეს შეჯერება ერთ-ერთ კანდიდატზე, თუკი, რა თქმა უნდა, ეს შეჯერება მოხდება. ეს დამოკიდებულია ჩემს კოლეგებზე და ასევე კანდიდატებზეც, რა თქმა უნდა.

– ხომ არ გაგვიმხელთ, ვინ შეიძლება იყოს ეს კანდიდატი?

– ასეთი კანდიდატები არსებობენ, მე რატომ გავამხილო? მე ზოგადად ვამბობ, რომ ასეთი რამ შესაძლებლად მიმაჩნია. თუმცა აქვე გეტყვით იმასაც, რომ დიდად ოპტიმისტურად არც ვარ განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ.

რადგან მკითხეთ, მეც გპასუხობთ, რომ არსებობს ამის თეორიული შანსი, თუმცა ამ შანსს გამოყენება უნდა. რამდენად ვართ ამ შანსის გამომყენებლები, ეს კიდევ ცალკე საკითხია.

– ბატონო ჯონდი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მივა საქმე მეორე ტურამდე?

– არა მგონია, თუ ასე გაგრძელდა პროცესები, რომ მეორე ტური გახდეს საჭირო. ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც რესურსები აქვთ ფინანსური თუ ადმინისტრაციული და ასე შემდეგ, ეს ძალები არიან გარიგებულნი იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი პირველ ტურშივე უნდა დამთავრდეს. მერე მეორე ადგილზე გასულმა ბანდის კანდიდატმა დემოკრატიული გამარჯვება მიულოცოს სახელისუფლებო კანდიდატს და კრება დარჩეს მხიარული. გამარჯვებული იტყვის, რომ ხომ ხედავთ, მე გავიმარჯვე არჩევნებში, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა ნაციონალებმა თქვან, რომ ნახეთ, მე მთავარი ოპოზიციური ძალა ვარ. ვერ ნახეთ, სააკაშვილი ნაციონალების ყრილობაზე ბოლო ხმაზე რას გაჰყვიროდნენ ხან სააკაშვილი და ხან ბაქრაძე, ჩვენ ვართ მთავარი ოპოზიციური ძალაო. აი, ამის დამტკიცება უნდა ახლათ ივანიშვილს და სააკაშვილს, რომ ამდენხნიანი ისტორიის მქონე ქვეყანამ მეტი სხვა ალტერნატიული ძალა ვერ შვა. ამით გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვართ ჩამორჩენილი ძალა და აქ სხვა ალტერნატივა არ არსებობს, რომ მთავარი ოპოზიცია არის ეს კრიმინალური ბანდა. ამ არჩევნებით სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ და ჩვენ გვინდა, რომ არ დავამტკიცებინოთ და, მე მგონი, სწორად ვფიქრობთ. თუ სხვებიც ასე ფიქრობენ, ალბათ, დროა, შემოგვიერთდნენ. ჯერჯერობით ჩემი და კახა კუკავას პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს. სხვები გვეთანხმებიან, თავს აქიცინებენ, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული გადაწყვეტილებები არა აქვთ. იქნება გადაწყვეტილებები, იქნება მოქმედება, არ იქნება გადაწყვეტილებები და იქნება მოქმედება მაინც, მაგრამ იქნება სხვაგვარი მოქმედება. მაშინ მე და კახა კუკავას მოგვიწევს სხვა ტიპის მოკავშირეების ძებნა და ამ მთავარ მოკავშირესთან ერთად ქუჩაში მოქმედება.

– ვინ არის ეს მთავარი მოკავშირე?

– ჩვენი მთავარი მოკავშირე არის ხალხი, რომელიც, ღვთის წყალობით, ჩვენ გვყავს ამ ეტაპზე და გვაქვს ეს ნდობა საზოგადოებისგან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ამ გზით წავალთ. ხოლო პასუხისმგებლობას აიღებს ივანიშვილიც, საკაშვილიც და ყველა სხვა, ვინც ამ პროექტში მონაწილეობას არ მიიღებს.

– ბატონო ჯონდი, როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, ნინო ბურჯანაძე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს? ანუ ვერ გავიდეს მეორე ადგილ ზეც კი...

– მე გეუბნებით იმას, რას ცდილობენ სააკაშვილი და ივანიშვილი ერთად, თუ სად აღმოჩნდება ბურჯანაძე, ეს მათ შორის ბურჯანაძეზეც არის დამოკიდებული. ის, რომ ეს ორი ძალა ამას ცდილობს, არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ასე უნდა მოხდეს. დღეს არ არის ისეთი სიტუაცია, რომ ყველაფერი ივანიშვილსა და სააკაშვილზე იყოს დამოკიდებული. ნათქვამია, კაცი გეგმავს და უფალი განაგებსო. მათი სურვილი კი არის, რომ ნაცმოძრაობა გამოცხადდეს მთავარ ოპოზიციურ ძალად, მაგრამ შესაძლოა ეს ასე არ მოხდეს. ამიტომ ბურჯანაძემ უნდა გამოიყენოს ის შანსები, რაც მას გააჩნია. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს. ჩვენ ყველანი ერთად იმაზე მაინც უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს ბანდა მოვიშოროთ და მერე გუნდს, რომელმაც არც ერთი პირობა არ შეასრულა, ვაიძულოთ, ან პირობები შეასრულოს, ან ძალაუფლება დათმოს და ჩაატაროს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

– ბურჯანაძის შანსებზე საუბრობთ და რას გულისხმობთ, რა შანსები აქვს მას?

– ახლა ბურჯანაძეს რომ სხვაზე მეტი რესურსი აქვს წარმატების, მგონი, ამას ბავშვიც კი ხვდება. ეს თავად ბურჯანაძემაც მშვენივრად იცის და ალბათ გამოიყენებს ამ შანსს. თუ ეს რესურსები არ გაგაჩნია, ისე ფონს ვერ გახვალ. ასე რომ, ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს.

– რაც შეეხება პრემიერის წასვლას, ის ყველგან ღიად აცხადებს, რომ მიდის და გადადის სამოქალაქო სექტორში. როგორ ფიქრობთ, პრემიერი გარედან შეეცდება მთავრობის გაკონტროლებას?

– ამას აცხადებს და თავად უნდა ასე. რა როგორ გამოვა, ეს სხვა საკითხია. მან თქვა კიდეც, რომ გვერდიდან ვმართავ მთავრობასო და, როგორც კი ამაზე ერთი ამბავი ავტეხეთ, შესაბამისად, შეცვალა პოზიცია და თქვა, სამოქალაქო სექტორიდან გავაკონტროლებო. თვითონ კონტროლი, როგორც ჩანს, ასე წარმოუდგენია. ამის მერე მეორე შეცდომაც დაუშვა და გაამყარა ის აზრი, რაც პირველად თქვა, მან თქვა, წავალ და ახალ პრემიერს დაგიტოვებთო. პრემიერი კარგი კაცი იქნებაო. ის აუცილებლად დატოვებს ახალ პრემიერს. თქვენ სადმე გაგიგიათ, რომ გადამდგარ პრემიერ-მინისტრს დაენიშნოს ახალი პრემიერ-მინისტრი? ეს არ ნიშნავს უკვე მართვას? გადადგომის წუთიდან რა უფლება აქვს მას, რომ ვინმე დანიშნოს, ერთი მითხარით?! როგორც ჩანს, მან კარგად არ იცის პოლიტიკური ეტიკეტი და არ ესმის, რომ გვერდიდან მართვა მთავრობის არ შეიძლება და, როცა გადადგები, ახალი პრემიერის დანიშვნის უფლებაც არა გაქვს. ის პატივს უნდა სცემდეს საკუთარ ხალხს, საზოგადოებას, პოლიტიკურ სპექტრს და, რაც მთავარია, საკუთარ გუნდს, რომ ხმამაღლა მაინც არ ამბობდე იმას, რასაც ფიქრობ. პოლიტიკურ გუნდს უნდა მისცე იმის საშუალება, რომ ახალ პრემიერ-მინისტრზე თვითონ იზრუნოს. თუმცა უფრო კორექტული და უფრო პატივისცემის გამოხატულება იქნებოდა, რომ ეთქვა, რადგან ხალხმა მე ამირჩია და ჩემი ხათრით მისცა ხმა ამ პარლამენტს, მათ შორის უსუფაშვილს, ხიდაშელს და ასე შემდეგ და რადგან მე მივდივარ პოლიტიკიდან, ხალხმა აირჩიოს ახალი პრემიერ-მინისტრი, ახალი არჩევნების გზით. აი, ეს იქნებოდა ხალხის პატივისცემა. მაგრამ, ნახეთ, როგორ აზროვნებს, მე მივდივარ, მაგრამ გიტოვებთ ჩემს უფლისწულს, მისგან სრულიად კონტროლირებად პირს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადება

2013 წლის 22 დეკემბერს სამების საკათედრო ტაძარში მოხდება სამადალაშვილების გვარის დალოცვა. ჩვენი გვარის სალოცავია ზეგარდის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის სახელზეც გვინდა, ხატი მოვახატვინოთ, რომელიც გვარის ყველა წარმომადგენლის მფარველი იქნება. ჩვენი გვარის წარმომადგენლებს მოგმართავთ თხოვნით, ვისაც გექნებათ სურვილი, მიიღოთ მონაწილეობა ხატის კურთხევასა და გვარის დალოცვის ღონისძიებაში, დაგვირეკეთ ტელეფონზე: 577-52-17-04 მაგდა სამადალაშვილი.

განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311 – ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთ მის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემებისმოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკოჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

რიჩი დიქსონი მომავალ მეტოქეებზე საუბრობს

რაც უფრო გვიახლოვდება ნოემბერი ჩვენ, დიდი გულისყურით ველოდებით ჩვენი ეროვნული ნაკრების შეხვედრებს ნოემბრის ყოველწლიურ ტესტებზე, რომლებიც საქართველოში გაიმართება.

რაგბის საერთაშორისო საბჭოსთან მუდმივი და რეზულტატური ურთიერთობის შედეგად, ჩვენი ნაკრებისათვის ნოემბრის ტესტების ოდენობა 3-მდე გაიზარდა.

ნოემბერში საქართველოში კვლავ გვესტუმრებიან კანადისა და ამერიკის ეროვნული ნაკრებები, ხოლო სამოას ეროვნული ნაკრები კი პირველად ესტუმრება თბილისს.

მომავალ მეტოქეებზე საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რიჩარდ დიქსონი საუბრობს.

კანადა:

– კანადის ეროვნულმა ნაკრებმა 2011 წლის მსოფლიო თასზე თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ამაზე ის ფაქტიც მოქმედებს, რომ მან პირველმა შეძლო მომავალი მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ეს, რა თქმა უნდა, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვეთამაშეთ მათ, ისინი კვლავ ძლიერ და კარგ ოპონენტებად ითვლებიან ჩვენი ბიჭებისათვის. მათ შეკრული გუნდი ჰყავთ და ეცდებიან თავიანთი ნოემბრის მოგზაურობა პოზიტიურად დაიწყონ. ორივე გუნდისათვის პირველი მატჩი საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან მოსამზადებელი პერიოდი მოკლეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაშის მოსაგებად ისინი ყველაფერს გააკეთებენ.

აშშ:

– კანადის მსგავსად, აშშ-ს ნაკრები ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია. მიუხედავად იმისა, რომ მათ 2015 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო მატჩები დათმეს კანადასთან, ისინი ძლიერი მეტოქეები არიან. უდავოდ ამ მატჩისათვის ისინი დიდი გულისყურით მოემზადებიან, ვინაიდან ჩვენს მსგავსად, ჯერ არ გასულან თასზე. ვინაიდან აშშ-ს ნაკრები ჩვენ ბიჭებს ხვდება, მას შემდეგ რაც ჩვენ კანადის ნაკრებს ვუმასპინძლებთ, ისინი ეცდებიან თავიანთი სრული პოტენციალის ჩვენებას და ჩვენთან მატჩში თავიანთი თამაშის ხარისხის აწევას, რათა მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო, ამერიკის კონტინენტის პლეიოფების სერიაში უფრო გაძლიერებულნი წარდგნენ. ორივე გუნდს ექნება ჩატარებული თითო მატჩი და აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ ისინი მოუმატებენ და შესანიშნავ თამაშს შემოგვთავაზებენ.

სამოა:

– სამოას ეროვნული ნაკრები, რომელიც ამ დროისათვის ირბ-ს მსოფლიო რეიტინგში მე-7 ადგილს იკავებს, ნებისმიერი ოპონენტისათვის უდავოდ ძალზე ძლიერ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. რამდენადაც მე ვიცი, 28 მოთამაშე მათი 30 კაციანი გუნდიდან ევროპის სხვადასხვა ტოპ ლიგებში გამოდიან. სწორედ ამ გამოცდილების შედეგად მათ შეძლეს თავიანთი ისტორიაში პირველად ასეთი მაღალი ადგილის დაკავება მსოფლიო რეიტინგში.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს იქნება მესამე და, შესაბამისად, ბოლო მატჩი ჩვენი ბიჭებისათვის ნოემბრის ტესტების ფარგლებში, მათ ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ, რათა განსაკუთრებულად მოემზადონ ამ შეხვედრისათვის. თავიანთი თავდაუზოგავი მცდელობებისა და მიღწევების გამო, სამოა ნამდვილად იმსახურებს მსოფლიო დონის გუნდის სტატუსს და ისინი უდავოდ ყველანაირ ძალღონეს იხმარენ, რათა არ დათმონ შეხვედრა ჩვენ ნაკრებთან.

ძალზე საინტერესო ტესტების სერია ელოდებათ ჩვენ ბიჭებს ნოემბერში და ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, მე იმის დიდი იმედი მაქვს, რომ ქართული რაგბის ქომაგი მოვა შეხვედრებზე და ჩვენს ბიჭებს ტრადიციულად, მათთვის ჩვეულად ხმამაღლა დაუდგებიან მხარდამხარ. თითოეული თამაში იქნება განსხვავებული და დარწმუნებული ვარ, რომ უამრავ გასაოცარ მომენტებს მოგვიტანს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გუნდი მოუთმენლად ელოდება თითოეულ ამ შეხვედრას, ვინაიდან ეს მატჩები მოგვცემს ჩვენი პროგრესის ნახვის უნიკალურ შესაძლებლობას. ეს მატჩები ნაკრებს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს განვითარებაში და მოამზადებს მათ მსოფლიო თასზე გასასვლელ ფინალური ეტაპებისათვის – ევროპის ერთა თასის გათამაშებისათვის.

ვიმედოვნებ, რომ ყველანი უდიდეს სიამოვნებას მიიღებთ ამ ძალზე საინტერესო შეხვედრებიდან და მოდით ყველა ერთად გვერდში დავუდგეთ ჩვენს ნაკრებს, ვინაიდან ნოემბერში ისინი ძალზე რთულ მოწინააღმდეგეებს დაუპირისპირდებიან.

დავძენთ, რომ „ბორჯღალოსნები“ 9 ნოემბერს „დინამო არენაზე“ კანადას ეთამაშებიან, 16-ში რუსთავში „ფოლადის“ სტადიონზე – აშშ-ს, ხოლო 23-ში „მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე“ – სამოას.

რაგბის საერთაშორისო საბჭომ ნოემბერში მრავლად დაგეგმილი ტესტმატჩების მომსახურე მსაჯთა ვინაობა გაახმაურა. როგორც ცნობილი გახდა, ირბ-მ საქართველოს თამაშებზე შემდეგი მსაჯები მოავლინა: კანადასთან მთავარი მსაჯი ლოურენს ვან დერ მერვე (სამხრეთ აფრიკა) იქნება, ასისტენტები კი – დადლი ფილიპსი (ირლანდია) და ვლად იორდანესკუ (რუმინეთი).

აშშ-სთან რეფერი – მაიკ ფრეისერი (ახალი ზელანდია), ასისტენტები – იან დევისი (უელსი) და კიდევ ერთი უელსელი არბიტრი, რომლის ვინაობაც მოგვიანებით გაირკვევა. სამოასთან მთავარი მსაჯი – რომაინ პუატე (საფრანგეთი), ასისტენტები – ენდრიუ მაკმენემი (შოტლანდია), ვლად იორდანესკუ (რუმინეთი).

ფერგიუსონი: „ახლა იუნისეფის ელჩი ვარ და ამ საქმეს მთელ ჩემს ყურადღებას დავუთმობ“

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ამჟამად კლუბში მუშაობს, თუმცა სამწვრთნელო კარიერისგან დასვენებული უფრო საინტერესო თემებზე საუბრობს და, წარსულის გარდა, ბევრ რამეს იხსენებს.

– მას შემდეგ, რაც „იუნაიტედი“ დატოვეთ, ნახევარი წელი გავიდა. მოდით, ცოტა ხნით უკან დავბრუნდეთ, როგორი კლუბია „მანჩესტერი“?

– რომანტიკა. ისტორია რომანტიკასაც მოიცავს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი ისტორიული კლუბია. ისტორიაში 1958 წელს მიუნჰენში მომხდარი ავტოკატასტროფაც შედის, მაშინ 21 წლის ახალგაზრდები დაიღუპნენ. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ბასბიმ შეძლო 10 წლის შემდეგ კლუბის ფეხზე დაყენება და ევროპის თასის მოგება. სწორედ ამან შეუწყო ხელი კლუბს მომავალში გაზრდილიყო და თავისი საფეხბურთო სახე წარმოეჩინა. 1988 წელს ტაივანში ტურნეში წავედით და იქ გულშემატკივრის კორიდორში მოგვიწია გავლა, სწორედ აქ ვიგრძენი ამ კლუბის ფასეულობა.

– თქვენი აზრით, ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?

– პელეს ფანატი ვარ ბავშვობიდან. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კითხვა: პელე ჯობია თუ მარადონა. ბავშვობაში შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, მაგრამ ძირითადში პელეს გამოვარჩევდი. ახლა კი, მესისა და რონალდუს შორის მსგავსებაა. ისინი დაუჯერებლად ფანტასტიკური და უბრალოდ საოცარი ფეხბურთელები არიან.

– თქვენი აზრით, საუკეთესო ფეხბურთელს რა თვისებები უნდა ჰქონდეს?

– ყველაზე მთავარი გამბედაობაა, ამას ყოველთვის და ყველგან ვიმეორებ. გამბედაობა საშუალებას მოგცემს საკუთარ თავზე აიღო თამაში და თანაგუნდელებსაც დაეხმარო, მეტოქეს კი შეაშინებ. რაც მთავარია, გამბედაობა მოგცემს საშუალებას ითამაშო ისე, როგორც შეგიძლია და იცი ყველანაირ სიტუაციაში. დიდებული მოთამაშე ამ თვისებით აუცილებლად უნდა იყოს დაჯილდოებული.

– ეს თანდაყოლილი თვისებაა?

– შესაძლოა. ზოგი ამას ვარჯიშით და შრომით აღწევს. მე არ მინახავს არცერთი შემთხვევა, როცა შრომას შედეგი არ გამოეღოს. ეს თვისება ზოგს აქვს, ზოგს არა. აი, ეს არის განსხვავება უბრალოდ კარგ და საუკეთესო ფეხბურთელს შორის.

– ასეთი ფეხბურთები როგორ უნდა გამოარჩიო?

– როდესაც მატჩისთვის ვემზადებოდით, ისეთ ფეხბურთელებს ვუყურებდით, რომლებიც ბურთთან უფრო მეტ დროს ატარებდნენ და ისეთებს, რომლებსაც საჯარიმოების შესრულება კარგად გამოსდით. სწორედ ასეთ მოთამაშეებს უნდა მიექცეს პირველ რიგში ყურადღება.

– ჟურნალმა „ეკონომისტ მაგა ზინმა“ დაწერა – ფერგიუსონს შეიძლება ინგლისელ სტივ ჯობსი ვუწოდოთ. ის არაორდინალური ტალანტით არის დაჯილდოებული. მას აქვს იდეები და ამ იდეების განსახორციელებლად მზად არის ნებისმიერი სტერეოტიპი დაამსხვრიოს, რათა რაღაც შესანიშნავი შექმნასო. რას ფიქრობთ, შეძელით რაღაც მნიშვნელოვანის შექმნა?

– რთული და მრავალმხრივი კითხვაა. ეს მხოლოდ დროის საკითხია, აქ მხოლოდ ნიჭი და შესაძლებლობები არ არის, აქ მნიშვნელოვანი კლუბის ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერაა.

– გულშემატკივარს თქვენი კლუბიდან წასვლა სურდა?

– ვფიქრობ, რომ კი და არაერთხელ. გულშემატკივარი ბანერებზე მიწერდნენ – დროა წახვიდე! სამართლიანი იქნება თუ ვიტყვი, რომ იყო მომენტები, როდესაც საკუთარი თავის რწმენა მეკარგებოდა. მაგრამ ყოველთვის ვპოულობდი გზას, გამოვსულიყავი მდგომარეობიდან სასურველი შედეგით. მთელი გულით მადლობელი ვარ დირექტორის რჩევებისთვის, ბობი ჩარლტონისა და მარტინ ედვარდსის, რომლებიც მხარს მიჭერდნენ, რადგან ხედავდნენ, რასაც ვაკეთებდი და საით მივდიოდი. კითხვას რომ დავუბრუნდე, სწორედ ასეთ მომენტებში გამოჩნდნენ ბექჰემი, გიგზი, სქოულზი, ბატი, ძმები ნევილები. პირველ გუნდში ისინი ერთდროულად მოვიდნენ და ამ დროს მე ხელმძღვანელობის მხარდაჭერას ვგრძნობდი. არ მეშინოდა ფეხბურთელები ძირითადში დამეყენებინა, მიმეცა მათთვის შანსი. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისინი მომავალში „წითელი ეშმაკების“ ბირთვი და სახეები იქნებოდნენ.

– იპოვეთ ოქროს შუალედი?

– მე მას საქმის დროს ყოველთვის ვინარჩუნებ. შიში? დიახ, ზოგიერთ მოთამაშეს ეშინოდა ჩემი. რაც არ უნდა გავბრაზებულიყავი, ყოველთვის პრობლემას იმ დღესვე ვაგვარებდი. არასდროს ყოფილა შემთხვევა, გაბრაზება მეორე დღეს გამყოლოდა.

– ნუთუ არასდროს არავისთან გქონიათ მძიმე კონფლიქტი?

– არასდროს. არავისთან და არასდროს მქონია მძიმე კონფლიქტი. და სხვებისგანაც სამაგიეროს ამას ვიღებდი. მოთამაშეები ბოლოს მაინც ხვდებოდნენ, რომ მე მათ მხარეს ვიყავი და ადრე თუ გვიან, გრძნობდნენ ჩემს მხარდაჭერას.

– თქვენ ფეხბურთელების ცხოვრება შეისწავლეთ?

– დიახ, იმიტომ, რომ მივიჩნევ, რომ ეს აუცილებელია. ყოველთვის ვცდილობდი მათი ხასიათის შესწავლას. ფეხბურთელები მოედანზე იმ შეგრძნებით უნდა გადიოდნენ, რომ შენ, როგორც მწვრთნელმა, ყველაფერი მიეცი. ფსიქოლოგიის შესწავლამ საშუალება მომცა გამეგო და სწორად გამომეყენებინა მოთამაშეები. ვცდილობდი ყველასთან მაქსიმუმი გამეკეთებინა და თანაბარი ურთიერთობა მქონოდა მათთან.

– როგორც თქვენ თქვით, მაღალი კლასის ფეხბურთელებს არ შეუძლიათ მაღალი კლასის მწვრთნელები გახდნენ, რადგან ისინი ვერ მოახერხებენ მუშაობას ისეთ ფეხბურთელებთან, რომლებსაც მათი მსგავსი თვისებები არ აქვთ.

– დიახ, ასე ვფიქრობ ახლაც. ამ თემაზე ბობი ჩარლტონთანაც მქონდა საუბარი, რომელიც „პრესტონ ნორტ ენდში“ მუშაობდა მწვრთნელად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან ფეხბურთელებს ვერ გაუგო. მათ მისი არ ესმოდათ. ამიტომაც მიატოვა ეს სამსახური, რადგან მიხვდა, რომ ეს არ იყო მისი საქმე. ყველას, ვისაც მწვრთნელობა სურს, ვეუბნები, რომ მას მწვრთნელის ყველა თვისება უნდა ჰქონდეს. მე ინჟინრის პროფესიაზე ვთქვი უარი და მწვრთნელობა გადავწყვიტე და მივხვდი, რომ უკან დასახევი გზა არ მქონდა. მაშინ მე მხოლოდ ისეთი ფეხბურთელების გაწვრთნა შემეძლო, რომლებიც 1-2 გოლის გატანა შეეძლოთ და არა ისეთების, როგორებიც მესი და რონალდუ არიან. ამიტომ გადავწყვიტე ეს საქმე შემესწავ-

ლა, რასაც დიდი მონდომებით და გატაცებით ვაკეთებდი. დიდებული მოთამაშეებიდან დიდებული მწვრთნელი მხოლოდ ბეკენბაუერი მახსენდება, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შეძლო გერმანიის ნაკრებთან ერთად. როგორც მწვრთნელმა, ასევე ფეხბურთელმა შეძლო ამის გაკეთება.

– ნუთუ მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც „მანჩესტერში“ გაატარეთ, სხვა გუნდში მუშაობა არ მოგნდომებიათ?

– მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც „იუნაიტედში“ გავატარე, 2-3 შემოთავაზება მქონდა სხვა კლუბიდან. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: რატომ? რატომ არ შეიძლება ახალ კლუბში ვიმუშავო? ახალი გამოწვევები? მაგრამ ყველაზე რთული და მთავარი რაც არის, ეს ტიტულებია და მათი ხელახლა მიღწევა და შენარჩუნებაა. სტაბილურობა – აი, რა არის მთავარი გამოწვევა. დამიჯერეთ პირველი და მეოცე ტიტული ჩვენ ერთნაირად გვიხაროდა. სწორედ აქ დავუშვი შეკითხვა თავს, რომ აქ დარჩენა და ისტორიის შექმნაა მნიშვნელოვანი თუ სხვა კლუბში გადასვლა და ყველაფრის ნულიდან დაწყება? მე პირველი ავირჩიე.

– მაშინაც კი, როდესაც კლუბი ტიტულს იგებდა, თქვენ გუნდს ყოველთვის ახალი გამარჯვებისთვის რა ზმავდით.

– სიმართლე გითხრათ, ყველაზე რთული რაც არის, ეს ისეთ ფეხბურთელებთან ურთიერთობაა, რომლებსაც მაღალ დონეზე თამაში არ შეუძლიათ. მწვრთნელმა თავიდანვე უნდა შეამჩნიოს, რომელი მოთამაშეა ფორმაში, რომელი არა და იზრუნოს იმაზე, რომ გუნდი ყოველთვის ფორმაში იყოს. ყველაფერი შენს თავზე უნდა აიღო და გააკეთო, რადგან ფეხბურთელი არასდროს აღიარებს, რომ მისი დრო წავიდა. შენ ყველაფერი თავიდანვე უნდა შეამჩნიო და რაც უნდა რთული იყოს, უნდა უთხრა – შვილო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ შენი თამაში მომავალ სეზონში ნაკლებად სავარაუდოა და ჯობია ახალი კლუბი მოძებნო... ამაზე უარესი ალბათ არაფერია.

– კონტროლი და დისციპლინა.

– ეს ყოველთვის პირველ ადგილს იკავებს. მე ხელმძღვანელობას მუდამ ვეუბნებოდი, რომ თუნდაც ერთი ფეხბურთელი კლუბში მწვრთნელზე მაღლა დადგება, მაშინ ის „მანჩესტერ იუნაიტედი“ აღარ იქნება. მოთამაშეებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ მე ვიღებდი კლუბში ყველა სათამაშო გადაწყვეტილებას, მაგრამ მათ ყოველთვის ჰქონდათ ჩემი მხარდაჭერის იმედი.

– ასე მოხდა დევიდ ბექჰემის შემთხვევაშიც?

– დევიდი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მასთან ერთად სქოულზიც და გიგზიც იყვნენ, რომლებმაც „იუნაიტედის“ ისტორია შექმნეს. ეჰ, სიყვარული, სიყვარული... ის იმ გოგოს შეხვდა, ვიქტორიას. ამის გამო ბექჰემმა თამაშის კონცეტრაცია დაკარგა და სათამაშო ხარისხსაც უკლო. მან მინდორზე დაბლა დახარა თვალები და ხმადაბლა თქვა – შეყვარებული ვარ... შემდეგ მან გლამურული ცხოვრება დაიწყო: წვეულებები, ფართები, მოდა, ავტობიოგრაფიული წიგნი. შესაძლოა, ის უფრო დიდი ფეხბურთელი ყოფილიყო. საერთოდ კი, „რეალში“ ის ცუდად არ გამოიყურებოდა.

– სამუშაოზე არ ფიქრობთ?

– მე მაქვს სამსახური. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოც კი. იუნისეფის ელჩი ვარ, ამ საქმეს მთელს ჩემს ყურადღებას დავუთმობ.

მჭედლიძემ ემპოლისთან კონტრაქტი გააგრძელა

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ლევან მჭედლიძე კარიერას ისევ „ემპოლიში“ გააგრძელებს. კლუბის ვებგვერდის ცნობით, 23 წლის თავდამსხმელმა კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა.

ეს გასაკვირი იმიტომ იყო, რომ ბოლო დღეებში ვრცელდებოდა ცნობები მჭედლიძის „პარმაში“ გადასვლის თაობაზე.

მაურიციო სარი, „ემპოლის“ მწვრთნელი:

– ჩვენ ლევანის შესაძლებლობების გვჯერა და ვიცით, რომ ის გააგრძელებს ზრდას და გახდება უმაღლესი დონის ფორვარდი.

იტალიური მედიის ცნობით, ახალი კონტრაქტის მიუხედავად, მჭედლიძის ტრანსფერი „პარმაში“ ისევ აქტუალურია და მომავალში სავსებით შესაძლებელია.

ცნობისთვის, სერია ა-ში გადასვლის შანსი „ემპოლისაც აქვს“, რომელიც სადღეისოდ 17 ქულით მე-2 ადგილზეა სერია ბ-ში. ლევანმა ამ სეზონში 5-ჯერ მოირგო „ემპოლის“ მაისურა სეზონში (5-ჯერვე შეცვლაზე), ქართველს გოლი არ გაუტანია.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მჭედლიძემ „ემპოლისთან“ ხელშეკრულება 2007 წლის ივლისში გააფორმა. 2008-10 წლებში მან იჯარით „პალერმოში“ ითამაშა. მის იტალიურ კარიერაში 84 თამაშზე 6 გოლი მოდის.

შედეგები

ფეხბურთი

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

არლე-ლანსი	1:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

პარტიკი-ჰიბერნიანი	0:1

პორტუგალია. ა ლიგა

გიმარაეში-კარიტიმუ	1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიასტი-რუხი	0:2

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

კოლონი-არსენალი	0:1
გოდოი-ოლ ბოიზი	2:0
ხიმნასია-ველეჟი	2:1
როსარიო-ლანუსი	2:1

ჩოგბურთი

ატპ. მანხაი მასტერსი

ჰიუიტი-სეპი	4:6;2:6
ფონინი-ლორენცი	4:6;7:6;6:4
გასკე-პოსპიშილი	3:6;4:6
რობრედო-მონტანესი	6:4;6:1
სიმონი-პერი	4:6;3:6
ბრანდსი-ფალა	7:6;7:5
ალმაგრო-სოედა	7:6;6:2
ნიშიკორი-დიმიტროვი	6:3;6:4
დოლგოპოლოვი-რასელი	6:1;6:3

ჰოკეი

ნჰლ. ჩეგულარული ჩემპიონატი

ედმონტონი-ნიუ ჯერსი	4:4(1:0ბ)
ლოს ანჯელესი-რეინჯერსი	1:3

ჟვანიამ „მერანი“ დატოვა და „დინამოს“ შეუერთდა

თბილისის „დინამოს“ ვიტალი დარასელიას სახელობის საფეხბურთო აკადემიაში კლუბის დირექტორმა მამუკა მახათაძემ ფეხბურთელებს მეორე გუნდისა და დუბლშემადგენლობის ახალი სამწვრთნელო შტაბი წარუდგინა.

პირველ ლიგაში მოასპარეზე „დინამო-2-ს“ მალხაზ ჟვანია უთავკაცებს. 37 წლის სპეციალისტი 7 წლის მანძილზე მარტვილის „მერანს“ ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა და საქართველოს ჩემპიონატში ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

ჟვანიას ასისტენტობას გივი დიდავა, რამაზ სვანაძე და ლევან აბაშიძე გაუწევენ. დუბლშემადგენლობას სათავეში კახი გოგიჩაიშვილი ჩაუდგა, რომელიც წლების მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ღირსებას. მას სულიკო დავითაშვილი და ზურაბ ქვაჩახია დაეხმარებიან, რომლებიც „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში მუშაობდნენ.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

კონსერვატორიაში „რიგოლეტო“ აჟღერდება

ეკა ირემაშვილი

17 ოქტომბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტო“. ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს ზაზა კალმახელიძე უდირიჟორებს. მთავარ პარტიებს შეასრულებენ თეიმურაზ გუგუშვილი, სულხან გველესიანი, მარიკა მაჩიტიძე, კახაბერ თეთვაძე, თეა დემურაშვილი, ელენე ჯანჯალია, გია ასათიანი, ვახტანგ ჯაშიაშვილი, იური ასლანიშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე და ეკა ჯეჯელავა.

„რიგოლეტო“ ჯუზეპე ვერდის ოპერაა სამ მოქმედებად. მისი ლიბრეტოს ავტორი ფრანჩესკო მარია პიავეა. ოპერის პრემიერა ვენეციაში შედგა, თბილისში კი XIX საუკუნის 50-იან წლებში განხორციელდა. „რიგოლეტოს“ მთავარი გმირები არიან ჰერცოგი (ტენორი), რიგოლეტო (ბარიტონი), ჯილდა (სოპრანო), სპარაფუჩილე (ბანი), მადალენა (მეცო-სოპრანო), ჯოვანა (მეცო-სოპრანო), გრაფი მონტერონე (ბანი), მარულო (ბარიტონი), ბორსა (ტენორი), გრაფი ჩეპრანო (ბანი), გრაფინია ჩეპრანო (მეცო-სოპრანო), ოფიცერი (ბანი) და პაჟი (მეცო-სოპრანო).

– ოპერა „რიგოლეტოს“ საფუძვლად დაედო ვიქტორ ჰიუგოს დრამა „მეფე ერთობა“. ჰიუგოს პიესის პირველივე წარმოდგენამ პოლიტიკური მანიფესტაცია გამოიწვია. ფრანგი მწერლის პიესა მეფის ძალაუფლებას ავტორიტეტს საგრძნობლად ულახავდა და ამიტომ მისი დადგმა აიკრძალა. ჰიუგომ მთავრობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მწერალი 1830 წლის რევოლუციის მთავარი მონაპოვრის – სიტყვის თავისუფლების აღდგენას ითხოვდა. სასამართლო პროცესს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა, თუმცა, საბოლოოდ ნაყოფიერი შედეგი არ გამოუღია. პიესა მეორედ მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიდგა საფრანგეთის სცენაზე. ჰიუგოს ნაწარმოებმა ვერდი საოცრად გაიტაცა და მის ნაწარმოებზე ოპერის შექმნას შეუდგა. კომპოზიტორმა თავად გაიზიარა მომავალი ოპერის ფაბულა, ძირითადი დრამატურგიული ხაზები. კომპოზიტორის მითითებით ფრანჩესკო მარია პიავემ ოპერის ლიბრეტო შეადგინა. თავდაპირველად ვერდის სურდა ოპერისთვის „წყევლა“ ეწოდებინა, მაგრამ შემდეგ სათაური თავად შეცვალა. „რიგოლეტო“ ვერდიმ ძალზე სწრაფად 40 დღეში დაწერა. კომპოზიტორმა თავისებურად გაიზიარა ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრული სახეები, რამაც ჰიუგოში გარკვეული პროტესტიც კი გამოიწვია. ლიბრეტოზე მუშაობა თითქმის დასრულებული იყო, როდესაც ცენზურამ მისი საფუძვლიანი შეცვლა მოითხოვა. პიავე თანახმა იყო, გარკვეულ კომპრომისებამდე წასულიყო და ასეც მოიქცა, მაგრამ ვერდი სხვაგვარად ფიქრობდა. „მე დავრწმუნდი, რომ ამ დამახინჯებულად სახეცვლილ ნაწარმოებში გაქრა ხასიათიც, აზრიც და, საბოლოო ჯამში, მისი ყველაზე დრამატიული მომენტებიც კი აღარ აგაღელვებს“ – ეს სიტყვები მისწერა ვერდიმ თეატრის დირექტორს მარძარის პიავეს ლიბრეტოს ახალ ვარიანტთან დაკავშირებით, რომელშიც ლიბრეტისტს რიგოლეტოს სახე ცენზურის მოთხოვნების სასარგებლოდ გაეზიარებინა და იგი წარმოსადეგი მამაკაცის გმირით შეეცვალა. ამასთან დაკავშირებით ვერდი წერდა: „მთავარი გმირი მომღერალი მასხარაა, რატომაც არა?! ვფიქრობ, ამ ხასიათის წარმოჩენა, მისთვის ნიშნეული იუმორით, ფიზიკური უსახობით და ამასთან, სიყვარულისა და ტანჯვის დიადი გრძნობით, ბრწყინვალე იდეაა. სწორედ მთავარი გმირის ამ ინდივიდუალურ თვისებათა ერთობლიობის გამოავიჩიე ეს სიუჟეტი და მათზე უარის თქმის შემთხვევაში ვეღარ გავაგრძელებ მუსიკის წერას. თუ მეტყვით, რომ ჩემი მუსიკა ამ სახეცვლილ ლიბრეტოსაც მიესადაგება, მე გიპასუხებთ, რომ ასეთი მსჯელობა მე არ მესმის. გულწრფელად ვამბობ, ჩემი მუსიკა, იმის მიუხედავად, კარგია იგი თუ ცუდი, არასოდეს არის შემთხვევითი. ყოველთვის ვცდილობ მისთვის გარკვეული ხასიათის მინიჭებას“.

რაკი ცენზურის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ სრულიად იკარგებოდა ნაწარმოების ძირითადი არსი და იდეა, ვერდიმ ლიბრეტოს ვარიანტზე კატეგორიული უარი განაცხადა, თუმცა, ბევრი რამის შეცვლა ლიბრეტოში მას და პიავეს მაინც მოუხდათ და საბოლოოდ, ფრანცისკ პირველი მანტუას ჰერცოგად, ხოლო ტრიბული რიგოლეტოდ გადაიქცა. ოპერის წარმატებული პრემიერა 1851 წლის 11 მარტს შედგა ვენეციაში და მალე „რიგოლეტო“ ევროპის თითქმის ყველა ქალაქის საოპერო სცენაზე დაიდგა, – ამბობენ ოპერის თეატრში.

„შუა ქალაქში“ დაპირისპირებამ პიკს მიაღწია

მერი ნამორაძე

დაძაბულობამ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრ „შუა ქალაქში“ პიკს მიაღწია. გუშინ ახალი დირექტორი ლაშა მიქაუტაძე დაცვის თანხლებით გამოცხადდა, რასაც მედპერსონალის პროტესტი მოჰყვა. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელების“ თავმჯდომარე ლაღიძის №8-ში არსებული სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის მედპერსონალის პროტესტს შეუერთდა და თბილისის მერია ძალადობრივი მექანიზმების გამოყენებაში დაადანაშაულა.

სამედიცინო წრეებში კარგა ხანია საუბრობენ თბილისის პირველადი ჯანდაცვის რგოლში არსებულ ვითარებაზე, რომლებიც არაერთგზის იქნა გადაყიდული კორუფციული სქემებით, მაგრამ ჯერჯერობით შესაბამისი ორგანოების მიერ არც ერთი სქემა არ გამომზეურებულა და პასუხიც არავისთვის მოუთხოვიათ. მედიკოსები ირწმუნებიან, რომ მალე თბილისი შეიძლება საერთოდ პირველადი ჯანდაცვის რგოლის გარეშე დარჩეს, რადგან ინვესტორებს მაინცდამაინც არ აინტერესებთ სამედიცინო პროფილის შენარჩუნება დაწესებულებებში.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნულ დაწესებულებაში ახალი დირექტორის გამოჩენას მედპერსონალის პროტესტი მოჰყვა.

„30 სექტემბერს თბილისის მთავრობის სხდომაზე შ.პ.ს. „სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის – შუა ქალაქში“ გენერალურ დირექტორად ლაშა მიქაუტაძის დანიშვნის შესახებ იმსჯელეს. მე შევთავაზე მთავრობას, საკითხი მედპერსონალის შეთანხმების მიღწევამდე გადადებულიყო, თუმცა კენჭისყრა არცთუ ისე სარწმუნო ვითარებაში ჩატარდა და შედეგი მაინც დადგა. ინვესტორს საინვესტიციო ვალდებულება შესრულებული არ აქვს და სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი თბილისის ბალანსზე იმყოფება, შესაბამისად, იქ ახალი დირექტორის დანიშვნის უფლება არ ჰქონდათ“, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ და სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში მიმდინარე პროცესებში მთელი პასუხისმგებლობა თბილისის მთავრობას დააკისრა.

დღევანდელ საგანგებო ბრიფინგს მე-13 პოლიკლინიკისა და აღნიშნული სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის „შუა ქალაქში“ მედიკოსებიც ესწრებოდნენ. მათი განცხადებით, დაწესებულებაში მე-8 დღეა აქცია მიმდინარეობს.

„კომპანია „მედიკომის“ დამფუძნებელი კახა ლომსაძე გაკოტრებულია და მას არ აქვს თანხა საინვესტიციო პირობები შეასრულოს. შესაბამისად, ახლად დანიშნული დირექტორი ლაშა მიქაუტაძე სამედიცინო ცენტრის შენობას ბანკში ჩადებს და საინვესტიციო პირობას ამ გზით შეასრულებს. გთხოვთ ნუ მისცემთ მას ჩვენი შენობის გაყიდვის უფლებას“, – განაცხადა ექიმმა ნანა ელიზბარაშვილმა.

კომპანია „მედიკომმა“ მე-13 პოლიკლინიკა და ლაღიძის №8 მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი 2009 წელს აუქციონზე შეიძინა. საინვესტიციო პირობით, ინვესტორმა 1,1 მლნ ლარი მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე უნდა დაფაროს.

ინვესტორს აღნიშნული თანხის მხოლოდ 100 000 ლარი აქვს დაფარული.

კულტურის სამინისტროს დელეგაცია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზეა

ეკა ირემაშვილი



8 ოქტომბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით ფრანკფურტში მიემგზავრება. ამ საკითხთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობასთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრეს მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა, მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წარმომადგენლებმა, მწერლებმა და გამომცემლებმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 2013 წლის 9-13 ოქტომბერს ფრანკფურტში, წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო ეროვნული სტენდით და მრავალფეროვანი, განახლებული პროგრამით წარსდგება.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ოფიციალური ვიზიტით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით ესტუმრება. მინისტრი შეხვდება ფრანკფურტისა და ლონდონის წიგნის ბაზრობების ხელმძღვანელებს და წიგნის სექტორში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობას ორგანიზებას უწევს „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“. ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება 23-მდე ქართული გამომცემლობის უახლესი გამოცემები. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და ღონისძიებები: ქართველი ავტორების საჯარო კითხვა, გერმანიაში გამოცემული თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნების პრეზენტაციები, პროექტის „უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამა ახალგაზრდა ილუსტრატორებისთვის“ წარდგენა დამსწრე საზოგადოებისათვის.

– აღნიშნული ღონისძიებების პარალელურად, საქართველო, წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ოფიციალური შეხვედრებისა და პრეზენტაციებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმატში „ბიზნეს საუზმე“, – განმარტა კულტურის მინისტრმა.

ამ ღონისძიებაზე ქართული ლიტერატურით და საქართველოს საგამომცემლო სექტორით დაინტერესებული უცხოელი გამომცემლებისა და ლიტერატურული აგენტებისათვის გაიმართება სამი სხვადასხვა პრეზენტაცია: საქართველოს საგამომცემლო სექტორის მიმოხილვა (თამარ ბაბუაძე); საქართველოს კულტურის სამინისტროს მთარგმნელობითი პროგრამის პრეზენტაცია (მედეა მეტრეველი); თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიმოხილვა (ალექსანდრე კარტოზია).

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებშივე შედგება „საყმაწვილო ლიტერატურაში გერმანიის ეროვნული პრემიის“ დაჯილდოების ცერემონიალი, რომელზეც წარდგენილნი არიან თამთა მელაშვილი და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი რომანით „გათვლა“.

კულტურული პროგრამის პარალელურად დაგეგმილია შეხვედრები უცხოელ გამომცემლებთან და ლიტერატურულ აგენტებთან. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ქართულ დელეგაციას დაგეგმილი აქვს პრეზენტაციები: ბესო ხვედელიძე „თაგვის გემო“ (გერმანული გამომცემლობა დაიპციგერ ლიტერატურფერლაგ); ანა კორძაია-სამადაშვილი „მე მარგარიტა“ (გერმანული გამომცემლობა ფერლაგ ჰანს შილერ); ბონდო მაკაბერიძე „თანამედროვე ქართული ზღაპრები“ (მოდერატორი მანანა თანდაშვილი); ზურაბ ქარუმიძე, კოტე ჯანდიერი, ირაკლი სამსონაძე, თეონა დოლენჯაშვილი, ნატო დავითაშვილი „პოლიფონიური ქართული პროზა“ (მოდერატორი ალექსანდრე კარტოზია); გიორგი კეკელიძე, ზვიად რატიანი, დავით მაღრაძე „ნაბიჯები – ქართული პოეზია საბჭოთა დროიდან დღემდე“ (მოდერატორი გიორგი კეკელიძე); ოთარ ყარალაშვილი „უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამა ახალგაზრდა ილუსტრატორებისთვის – პროექტი „ვირგამი“; „საყმაწვილო ლიტერატურაში გერმანიის ეროვნული პრემიის“ დაჯილდოების ცერემონიალი. წარდგენილნი არიან თამთა მელაშვილი და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი რომანით „გათვლა“; შორენა ლებანიძე, გიორგი კაკაბაძე „ფიროსმანი და ქართული მოდერნიზმის დასაწყისი“ (მოდერატორი ზურაბ ქარუმიძე); რუსუდან გორგილაძე „კერძთაყვანისცემა“.

– 500-წლიანი ისტორიის მქონე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში უდიდესი წიგნის ფორუმია, რომელშიც ყოველწლიურად ათი ათასობით გამომცემელი, ლიტერატურული აგენტი, მწერალი და ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ექსპერტი იღებს მონაწილეობას. წარმოდგენილია ასი ათასობით დასახელების წიგნი. ბაზრობას ყოველწლიურად დაახლოებით 400 000-მდე უცხოელი დამთვალიერებელი სტუმრობს, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

გურამ ოდიშარია ფრანკფურტში გამგზავრებამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციასთან ერთად პოლონეთში იმყოფებოდა. მინისტრი ესტუმრა ლუბლინის კულტურის ცენტრს. გურამ ოდიშარიას მასპინძლობა, პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ლუბლინის კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა ალექსანდრე შპეჰტმა გაუწია. კულტურის ცენტრშივე ქართული დელეგაცია მინისტრის ხელმძღვანელობით, შეხვდა ქართული მუსიკალური ჯგუფის „მი ენდ მაი მანკის“ წევრებს, ალექსანდრე ჩინჩალაძეს, ვაჟა მარს. აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის კონგრესის და ინტეგრაცია-მედიაციის ფესტივალის ფარგლებში ქართულმა ჯგუფმა პოლონეთში კონცერტი გამართა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციის პოლონეთში ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა ასევე მოინახულა ლუბლინის ციხე-სიმაგრე და წმიდა სამების ეკლესია. დელეგაციას გიდობა გაუწია ლუბლინის ციხე-სიმაგრის დირექტორმა ზიგმუნთ ნასალსკიმ, გურამ ოდიშარიას მასპინძლობა ასევე გაუწიეს ლუბლინის მერმა ქრიშთოფ ჟუკიმ, მერის მოადგილემ კატარჟინა მიესკოვსკაშჩერნიაკიმ, ლუბლინის კულტურის დეპარტამენტის უფროსმა მიჰაუ კარაპუდამ, პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა იაცეკ ოლბრიჰტმა, პოლონეთის სამინისტროს სხვადასხვა დეპარატამენტების ხელმძღვანელებმა. ღირსშესანიშნავი ძეგლებზე სტუმრობის დროს მინისტრს თან ახლდნენ საქართველოს ელჩი ვარშავაში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი და ელჩის მრჩეველი ლალი ლომსაძე. წმიდა სამების ეკლესიის დათვალიერებისას მხარეებს შორის წარმოიშვა ინიციატივა, რაც გულისხმობს ლუბლინის წმინდა სამების ფრესკების ფოტოასლების თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარში ჩამობრძანებას და კოლექციის ექსპოზიციას. ვიზიტის დასასრულს დელეგაციამ მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით კაზიმიერც დოლნის დაბაც დაათვალიერა და ვარშავაში საქართველოს საელჩოს ესტუმრა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ქალაქ ლუბლინში კულტურის ცენტრში აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის კონგრესი მისასალმებელი სიტყვით გახსნა. მინისტრმა ხაზი გაუსვა პოლონეთსა და საქართველოს შორის არსებულ კულტურულ ურთიერთობებს და ერთობლივ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. დამსწრე საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართა პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა იაცეკ ოლბრიჰტმა. ფორუმს ესწრებოდნენ ხელოვნების სფეროს მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, ასევე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განათლებისა და კულტურის მენეჯერი ოლივერ რაისნერი. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვარშავაში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა მინისტრი საელჩოში მიიღო. დიპლომატთან საუბრისას მინისტრმა პოლონეთში ვიზიტი დადებითად შეაფასა და დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას, მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარის და მინისტრის აპარატის უფროსის ლევან ხარატიშვილის სამუშაო ვიზიტი პოლონეთში 4 დღეს გაგრძელდა. ქართული დელეგაცია პოლონეთიდან თბილისში 6 ოქტომბერს დაბრუნდა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 2. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ნელი მუსიკალური ტემპი; 6. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 8. პლაჟი რიოდე-ჟანეიროში; 10. სიბრძნის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. სტატიის, მოხსენების მოკლე შინაარსი; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 16. მუზეუმი მადრიდში.

თარაზულად: 1. მდინარე პრაღაში; 4. ხორვატიელი სიმაღლეზე მხტომელი ქალი, მსოფლიო რეკორდსმენი; 7. გულუხვი მასპინძელი; 9. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 11. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 17. მაკედონიის დედაქალაქი; 18. ემილ ზოლას რომანი; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. არვე; 2. ომი; 3. ბურჭულაძე; 4. ყანწი; 5. კიშლაკი; 8. ნეფე; 9. სიმინდი; 10. ფარავანი; 12. ფრახტი; 13. ულისე; 15. ატენი.

თარაზულად: 1. ამარეტო; 6. გურჯაანი; 7. ვენტა; 10. ფიჭვი; 11. ეფელი; 13. უფიცა; 14. ურალი; 16. ხევი; 17. ეტიკეტი; 18. უწყისი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პიკე; 2. შატლი; 3. მთიელი; 5. ლარდი; 6. გრუნდიგი; 8. ტრიფოლიატი; 10. ინტრიგა; 12. ასტურია; 14. რაჰანი; 15. ფავინო; 16. გუელი.

თარაზულად: 1. პირმშო; 2. ალტინგი; 7. ვიტესი; 9. ლევილი; 11. გირკანი; 12. აისბერგი; 13. ბრეხტი; 17. გრაცია; 18. საკე; 19. სიკოფანტი; 20. ბილინგვა.

აზერბაიჯანი პრეზიდენტს ირჩევს

აზერბაიჯანში „სიჩუმის დღეა“ და წინასაარჩევნო აგიტაცია შეწყვეტილია. 9 ოქტომბერს აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში სულ 10 კანდიდატი მონაწილეობს, რომელთა შორისაცაა აზერბაიჯანის მოქმედი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

ილჰამ ალიევი აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანამდებობას ზედიზედ უკვე ორი ვადით იკავებს. მან 2003 და 2008 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა.

2009 წლის 18 მარტს, საერთოეროვნული რეფერენდუმის ჩატარების შედეგად, აზერბაიჯანი კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოიხსნა შეზღუდვა ერთი და იგივე პირის სახელმწიფოს მეთაურად არჩევის რაოდენობაზე.

აზერბაიჯანში ხმის მიცემის უფლება 5 მილიონ ადამიანს აქვს.

აზერბაიჯანის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაახლოებით 52 ათასი დამკვირვებელია რეგისტრირებული, მათ შორის 1 300 საერთაშორისო დამკვირვებელი მსოფლიოს 100 ქვეყნიდან და 50 საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

აზერბაიჯანის ტერიტორიასა და ქვეყნის 38 დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მთელს მსოფლიოში სულ გახსნილია 5491 საარჩევნო უბანი.

სააჩევნო უბნები ადგილობრივი დროით 08:00 საათზე გაიხსნება და 19:00 დაიხურება.

რადიო „თავისუფლება“ წერს, რომ სამხრეთ კავკასიის ამ ნავთობით მდიდარ, მაგრამ დემოკრატიის დიდი დეფიციტის მქონე სახელმწიფოში სიურპრიზს არავინ ელოდება.

– აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს ხალხმრავალ და მანქანებით გადატვირთულ ქუჩებში მცირე ხნით გავლა და ხალხთან საუბარიც კი ზუსტ წარმოდგენას იძლევა მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე.

„ეჭვგარეშეა, რომ ამ პოსტზე ილჰამს აირჩევენ, ის გახდება პრეზიდენტი. სხვანაირად შეუძლებელია“,– განუცხადა ერთერთმა გამვლელმა მოქალაქემ რადიოს აზერბაიჯანულ სამსახურს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, არჩევნების ისტორია თუ უბრალო ინტუიცია კარს მომდგარი არჩევნების წინ ყველას აფიქრებინებს, რომ 9 ოქტომბრის არჩევნებში ქვეყნის ავტოკრატი ლიდერი ილჰამ ალიევი, დინასტიის 51 წლის წარმომადგენელი დამაჯერებლად გაიმარჯვებს.

თუმცა, ამ გარდაუვალი შედეგის მიუხედავად, წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიამ აზერბაიჯანში გააჩინა იმედი, რომ, ოპოზიციის ეროვნული საბჭო, ერთიანობის შემთხვევაში, შეძლებს მომავალში ავტორიტარიზმის შერყევას. ბრძოლა 9 ოქტომბერს არ მთავრდებაო, უთხრა რადიო „თავისუფლებას“ გუზელ ბაირამლიმ, აზერბაიჯანის „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარის მოადგილემ:

„ეს სქემა არ არის შექმნილი არჩევნებში გამარჯვებისათვის. ეროვნულ საბჭოს აქვს გრძელვადიანი პერსპექტივა. ჩვენი მიზანია ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლა, დემოკრატიის მშენებლობა. და ვიდრე ეს მოხდებოდეს, აუცილებელია დემოკრატიულმა ძალებმა ერთიანობა შეინარჩუნონ. ჩვენ ამისათვის ვიღვწით და ჩვენი მიზანიც ესაა“.

რადიო „თავისუფლება“: აზერბაიჯანის ოპოზიციის ეროვნულ საბჭოში საპრეზიდენტო არჩევნების წინ რეჟიმის მოწინააღმდეგეთითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, მათ შორის, „მუსავატი“ და „სახალხო ფრონტი“ გაერთიანდა. საბჭომ ერთიანობა მას შემდეგაც შეინარჩუნა, რაც ხელისუფლებამ შეძლო კამპანიიდან გამოთიშა ცნობილი სცენარისტი რუსტამ იბრაგიმბეკოვი. ეს, ცხადია, დიდი დარტყმა იყო, მით უფრო, რომ აზერბაიჯანის ოპოზიციის ეროვნულმა საბჭომ ერთიან კანდიდატად დაასახელა ნაკლებად ცნობილი მეცნიერი, კამილ ჰასანლი. თუმცა ამ ნაბიჯს თავისი უპირატესობაც ჰქონდა. ყოფილი კანონმდებელი და ისტორიკოსი, 61 წლის ჰასანლი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს აზერბაიჯანის ხელისუფლების ბიწიერ ბუნებას, რაზეც სატელევიზიო დებატების დროს ღიად ლაპარაკსაც არ შეუშინდა:

„აზერბაიჯანის მმართველი პარტია კოჭებამდეა ჩაფლული კორუფციაში, ილჰამ ალიევის მთავრობა – მუხლებამდე, თავად ილჰამ ალიევი კი კორუფციაში ყელამდეა ჩაფლული“.

ამ სატელევიზიო დებატებს ბევრი ამომრჩეველი ადევნებდა თვალს. მიუხედავად იმისა, რომ მასში არ მონაწილეობდა პრეზიდენტობის ძირითადი კანდიდატი, ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, აღმოჩნდა, რომ მაგიდასთან მსხდომ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის სწორედ ქვეყნის პრეზიდენტის ადვოკატები ჭარბობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა მმართველი პარტიის წარმომადგენელი სიავუშ ნოვრუზოვი, რომელიც იმდენად განარისხა ილჰამ ალიევის კორუმპირებულად მოხსენიებამ, რომ ბოთლი ესროლა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეამკო ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი კამილ ჰასანლი:

„შენ არ ხარ მეცნიერი! შენ ბოშა იყავი და ქუჩაში ცხოვრობდი. და ამ არჩევნების შემდეგ შენ, კამილ ჰასანლი, ქუჩაში დარჩები“.

გარდა ამ სიტყვიერი დებატებისა, აზერბაიჯანის როგორც ცენტრალური, ისე რეგიონალური ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ჩაეშალა კამილ ჰასანლის შეხვედრა ამომრჩევლებთან. უხეშად გამოიყენებოდა ადმინისტრაციული რესურსები, ადგილი ჰქონდა მოსახლეობის დაშინებას, ზეწოლას, მათი ახლობლების სამსახურიდან გათავისუფლების მუქარას და შანტაჟს. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დასავლურ მედიაზეც სცადა ზეწოლა და ბიბისი, ამერიკის ხმა და რადიო თავისუფლება წინასაარჩევნო კამპანიის ტენდენციურად გაშუქებაშიც კი დაადანაშაულა.

ასეთ შემთხვევაში გასაკვირიც არ არის, რომ 9 ოქტომბერს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ აზერბაიჯანში პესიმისტები ჭარბობენ ოპტიმისტებს.

„წარმოიდგინეთ, ხმა თქვენ რომ მოგცეთ, სულაც 50-60-მა პროცენტმაც რომ მოგცეთ ხმა, თქვენ მაინც არ აგირჩევენ და პრეზიდენტის პოსტს ისევ ალიევი დაიჭერს“, – უთხრა ერთერთმა აზერბაიჯანელმა მოქალაქემ რადიო „თავისუფლებას“ და ასეთების რაოდენობა აზერბაიჯანში, როგორც გაირკვა, არცთუ ისე ცოტაა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ლიტვამ რუსეთის „პირველი არხის“ ტრანსლირება შეწყვიტა

ლიტვაში რუსეთის „პირველი არხის“ ტრანსლირება დროებით შეწყდა. ლიტველი პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია რუსეთის „პირველ არხზე“ გასულმა გადაცემამ „ჩელოვეკ ი ზაკონ“, რომელიც 1991 წლის 13 იანვრის ვილნიუსის მოვლენებს მიეძღვნა.

ტრანსლირება მანამდე იქნება შეწყვეტილი ვიდრე სკანდალური გადაცემის ირგვლივ გამოძიება არ დასრულდება. გამოძიება კი ლიტვის რადიოსა და ტელევიზიის კომისიამ დაიწყო.

ლიტველი დეპუტატები აცხადებენ, რომ გადაცემაში გამოთქმული მოსაზრებები შეურაცხმყოფელია ლიტველი ხალხისათვის.



„ლიტვური საზოგადოება, ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები ბალტიისპირეთის ქვეყნებში ბოლო დროს ბევრს საუბრობენ რუსეთის მიერ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომზე. მიმაჩნია რომ ეს გადაცემა იყო შეურაცხმყობელი ლიტვისა და ლიტველი ხალხისათვის ამიტომაც ის ძალიან სერიოზულ შეფასებას მოითხოვს“, – აცხადებს აცხადებს დეპუტატი რასა იუკნიავიჩენე.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის სანიტარულმა სამსახურმა ლიტვური რძის პროდუქტების შეტანა შეაჩერა. უწყების ინფორმაციით, ლიტვური პროდუქციის მიკობიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური მაჩვენებლები არ შეესაბამება სტანდარტებს.

როგორც „როსპოტრებნადზორში“ აღნიშნავენ, მიკრობული დაბინძურება, რომელიც ლიტვურ რძეში აღმოჩნდა, არის ჩვეულებრივი ნაწლავური ჩხირი ან საკვებისმიერი ინფექცია, რომლებიც იმ შემთხვევაში ჩნდება, თუ მწარმოებელი ტექნოლოგიებს არ იცავს. მაგრამ, აქამდე ლიტვური ხაჭო, იოგურტი და ყველი, მაღალი ხარისხის პროდუქტებად ითვლებოდა.

უკანასკნელ წლებში, რუსეთის მიერ ლიტვური რძის პროდუქციის აკრძალვის უს უკვე მეორე შემთხვევაა. 2009 წელს მსგავსი ზომები გატარებული იყო, როდესაც ლიტვურ რძეში აღმოაჩინეს ანტიბიოტიკები. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ლიტვური რძის ნაწარმისთვის ძირითად ბაზარს წარმოადგენს და ექსპორტის 85%-ს შეადგენს.

ამ დღეებში, გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რომ მიმდინარე კვირიდან ლიტვური რძის პროდუქცია შესაძლოა საზღვარზე შეჩერდეს და ის მალე, საერთოდ გაქრება რუსეთის სავაჭრო დახლებიდან.

ეს ყველაფერი კი ხდება, ლიტვასა და რუსეთს შორის გამწვავებული საბაჟო კონფლიქტის ფონზე და როგორც ჩანს, „როსპოტრებნადზორის“ მიერ ლიტვური რძის პროდუქტებში აღმოჩენილ მიკრობულ დაბინძურებაში დამნაშავეა არა ბაქტერიები, არამედ ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტეა, რომელმაც ამერიკაში ვიზიტებს მოუხშირა.

სექტემბერის დასაწყისში პრეზიდენტი ამერიკაში ჩავიდა, სადაც ლიტვის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, კიდევ ერთხელ, დაუდასტურეს. ამერიკელებს, გრიბაუსკაიტემ ლიტვის სუვერენიტეტის რუსეთისაგან დაცვის აუცილებლობაზე მიანიშნა. თავის მხრივ ამერიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დახმარებისათვის მზადაა. მოგვიანებით, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჩავიდა ვილნიუსში, სადაც გაგრძელდა აღნიშნული საკითხის განხილვა. სწორედ ამის შემდეგ შეექმნათ პრობლემები ლიტველ მძღოლებსა და ბიზნესმენებს რუსეთის საზღვარზე: მებაჟეებმა დაიწყეს ლიტვის ნომრიანი საბარგო ავტომობილების გაჩერება, ხოლო ლიტვის მოქალაქეებს, რომლებსაც კალინინგრადში გადასვლა სურდათ, საზღვარზე უმიზეზოდ აფერხებდნენ.

თუ მოსკოვი „არ შეწყვეტდა მეზობლებზე ზეწოლას“ ლიტვის ხელისუფლება რუსეთს კალინინგრადის ოლქთან დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის ბლოკადით უპასუხებდა. აღნიშნული განცხადება ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმა რამდენიმე დღის წინ გააჟღერა.

„ჩვენ შეგვიძლია დავბლოკოთ ტრანსპორტი და ეს მხოლოდ მატარებლები არ არის, ეს არის საქონლის მიწოდება, ყველაფერი, რაც გინდათ“, – განაცხადა მინისტრმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ლიტვისათვის ასეთი მეთოდები მიუღებელია, მაგრამ მოსკოვის შემთხვევაში მიზანშეწონილია.

ცნობისთვის, კალინინგრადის ოლქს (ისტორიული კიონიგსბერგი) სახმელეთო საზღვარი რუსეთთან არ აქვს. მას ესაზღვრება პოლონეთი და ლიტვა. შესაბამისად, რუსეთი კალინინგრადთან სამგზავრო და სატვირთო კავშირს ლიტვის გავლით ახორციელებს.

ისრაელი ევროკავშირს ირანის სანქციების გაგრძელებისაკენ მოუწოდებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ამ კვირაში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით სასაუბროდ ევროპის ლიდერებს შეხვდება. ისრაელის „არმი რადიოს“ ცნობით, პრემიერი ევროპის ლიდერებს მოუწოდებს ირანის მისამართით დაწესებული სანქციები არ შეამსუბუქონ.

ნეთანიაჰუს აზრით, რაც უფრო მეტი ზეწოლა იქნება, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დიპლომატიის გამარჯვების მეტი შანსი იარსებებს. როგორც ცნობილია, დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს. აღნიშნულს თავად ირანი კატაგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა ქვეყანას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება. ცოტა ხნის წინ ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანმაც განაცხადა, რომ „ირანს ბირთვული იარაღი არასდროს ექნება“.

ამასთან, ირანის პრეზიდენტი გაეროს ტრიბუნაზე გამოსვლის დროს და „ტვიტერის“ სოციალურ ქსელშიც ღიად აცხადებს, რომ დროა ირანს ეკონომიკური სანქციები მოეხსნას.

„ეს სანქციები ძალადობრივი, დაუმსახურებელი და უაზროა“, – აცხადებს როუჰანი.

„ამერიკის ხმა“ აცხადებს, რომ ირანელ ხალხზე საერთაშორისო საქციები საკმაოდ უარყოფითად აისახება. 2011 წლის შემდეგ ირანის ეროვნული ვალუტის ფასი ამერიკულ დოლართან მიმართებაში 80 პროცენტით გაუფასურდა. სურსათზე და ყოველდღიური მოხმარების საგნებზე ფასებმა 40 პროცენტით მოიმატა. ირანში ასევე გაიზარდა უმუშევრობა და ახალგაზრდების 40 პროცენტი დაუსაქმებელია.

როგორც ანალიტიკოსი მაიკლ სინგი ამბობს, შექმნილი სიტუაცია პრეზიდენტ როუჰანის აიძულებს მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს:

„ირანისთვის აუცილებელია სანქციებისგან გათავისუფლდეს. ერთ წელიწადში შესაძლოა ყველაფერი ვერ გამოსწორდეს, მაგრამ როჰანი ცდილობს ამით დრო მოიგოს.“

თუმცა კონგრესზე ირანის სანქციების თემაზე მოსმენები საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს უკავშირდება.

სენატორი რებერტ მენენდესი ამბობს: „ირანი დიპლომატიურ მოლაპარაკებებამდე დროის მოგებას ვერაფრით შეძლებს.“

ამიტომაც პრეზიდენტი როუჰანი დაჟინებით აცხადებს, რომ თეირანს აქვს ყველანაირი უფლება ურანი გაამდიდროს.

თუმცა მეცნიერების და საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტის წარმომადგენელი დევიდ ოლბრაიტი აცხადებს, რომ მსგავს განცხადებას ამერიკა და მსოფლიოს ლიდერები ვერასდროს დაეთანხმებიან: „ირანი ახლა ფასების მატების გამო სრულ შოკშია. სანქციების მოხსნას კი საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.“

ეს კი იმას ნიშნავს, რომ როუჰანის ამ ეტაპზე ყველაზე დიდი გამოწვევა საკუთარი ხალხისგან მოელის, რომელსაც დღესდღეობით ეკონომიკურად ძალზე რთულ სიტუაციაში უწევს ცხოვრება.

მაიკლ ოჰანლონი ბრუკინგსის ინსტიტუტის თანამშრომელია: „როჰანი ახლა არჩევანის წინაშეა: განაგრძოს ბირთვული პროგრამა და ირანის მოსახლეობაში პოპულარობა დაკარგოს, თუ გააგრძელოს ურანის გამდიდრება და ქვეყანა უფრო დიდ გასაჭირში ჩაგდოს“.

დღესდღეობით ირანელებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მოელით, თეირანის იერარქია კი ფიქრობს, თუ რა ნაბიჯი გადადგას სამომავლოდ, წერს „ამერიკის ხმა“.

სამგლოვიარო განცხადებები

ყოლბაია ინდერ იპოლიტეს ძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრი, ინდერ ყოლბაია, რომელიც წლების განმავლობაში თამაშობდა ზუგდიდის საფეხბურთო გუნდ „ოდიშში“, შემდეგ კი გალის „მზიურში“.

იგი იყო გამორჩეული მამა, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე ბაბუა, უღალატო მეგობარი, თავისი ახლობლების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფლის მეურნეობის სისტემაში, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის ჩაის მეურნეობაში.

უდროოდ წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი სასახელო თანამემამულე, რომელიც დააკლდა არა მარტო მის გვარს, ოჯახსა და ახლობლებს, არამედ დიდი ტრადიციების მქონე აფხაზეთის სპორტულ სამყაროს.

ყოლბაიების სახელით იუწყებიან და თანადგომას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს ვახტანგ, თამაზ, მურმან, ოთარ, რამინ, ბორის, ბონდო, ვალერი, ჯანრი და ზურაბ ყოლბაიები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 9 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ.ფ "**როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები**" **12.40** მხ.ფ "**სად ხარ**" **14.30** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ ""თანამედროვე იარაღი" **17.55** ტ.სერ "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "ჩვენი ეზო" **19.30** "მეხსიერება" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** მხ/ფ "**აბრაშუმი**" **00.20** მხ.ფ "**შემოჭრა**" (ნ.კიდმანი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – პ/პ "სოციალ–დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის" (სამშ. გ/ჩვ) **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – პ/გ "საქართველოს ევროპელი დემოკრატები" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ (**06.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **18** სერ. **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **23.30** დოკ./ფ. ბგერებს შორის დუმილი **00.00** მხ/ფ "**მიმტანები**" პრემიერა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** "ნანუკას შოუ" - დაწყება **00.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**მონანიება**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.10** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია. **12.50** მოკ/ფ "**ჰობოი**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** დოკ/ფ "ნათელი იგი" **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხეზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - ანს. "შინ" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ალყა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** "თვენი" ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხეზმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "დავითი და კონსტანტინე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**მონანიება**" II ნაწ. **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა" 12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00 სერიალი "ასი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6617	ევრო — 2,2556
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6605	100 რუსული რუბლი — 5,1457

ამინდის პროგნოზი 9 ოქტომბრისთვის

მალე!
ქართული დეტექტივი
ტომი 3
იორამ ჩადუნელი
საზღაური
უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი
ტომი 2 ..... შავი ვარდი

ელისო ბოლქვაძემ სენაკში დაუკრა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ სენაკში აკაკი ხორავას სახელობის აკადემიურ თეატრში კონცერტი გამართა. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა და ის საქველმოქმედო ფონდ „ლირის“ ეგიდით იქნა წარმოდგენილი.

საქველმოქმედო კონცერტში ელისო ბოლქვაძესთან ერთად მონაწილეობდნენ კვარტეტი „იბერი“, ახალგაზრდა პიანისტები ბარბარე თათარაძე და ილია ლომთათიძე. ღონისძიებაზე შესრულდა ცინცაძის, სკრიაბინის, შოპენის, ბეთჰოვენის, დებიუსისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. საქველმოქმედო საღამო მიზნად ისახავდა სენაკში არსებული მუსიკალური სკოლის დახმარებას.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, კონცერტის მხარდაჭერა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ითავა.

კონცერტის შემდეგ მომდევნო დღეს პიანისტმა თავად ჩაატარა მასტერკლასები ამავე მუსიკალური სკოლის მოსწავლეებისთვის, შედგა მოსმენები, რის შედეგადაც მოხდა ნიჭიერი მუსიკოსების შერჩევა.

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ საქველმოქმედო ფონდი „ლირა“ 2012 წელს დააარსა. მისი მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და ხელშეწყობა. როგორც პიანისტი განმარტავს, მისი მთავარი მიზანია, საქართველოში ნიჭიერი ბავშვები აღმოაჩინოს და მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალურ სასწავლებლებში გააგზავნოს. საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ შექმნამდე ელისო ბოლქვაძე საერთაშორისო ფონდის „სოს ტალენტის“ წარმომადგენელი იყო საქართველოში, მისი ეგიდით ნიჭიერ ბავშვებს უსმენდა და სასწავლებლად უცხოეთში გზავნიდა. ამჯერად პიანისტს უკვე თავისი საქველმოქმედო ფონდი აქვს და მისი დახმარებით ნიჭიერ ქართველ ბავშვებს კარიერაში წარმატებების მიღწევაში ეხმარება.

ელისო ბოლქვაძე არცთუ ისე ხშირად სტუმრობს საქართველოს, თუმცა მისი ყოველი ვიზიტი საქმიანია. სწორედ ამ ქართველი პიანისტის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში აღიარებული მუსიკალური არხის „მეცოს“ ჩამოსვლა, რომელმაც რუსთაველის თეატრში გამართული კონცერტი გადაიღო და მასში ნიჭიერი ქართველი პიანისტები მონაწილეობდნენ. ზაფხულობით კი ელისო ბოლქვაძე უკვე ბათუმში ჩადის, სადაც ბათუმის ზაფხულის ფესტივალში იღებს მონაწილეობას.

საქველმოქმედო საღამოების გამართვა საქართველოში ქართველი პიანისტისგან ერთგვარი ჟესტია, რადგან იგი სისტემატურად აწყობს ასეთი ტიპის ღონისძიებებს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მხარდასაჭერად ქართველმა პიანისტმა გასულ წელს ბათუმში დაუკრა და საზოგადოებას მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ამ უნიკალური ექსპონატების საცავს, სადაც თითოეული ქართველისთვის ძვირფასი ნივთებია დაცული.

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

მალე! მალე! მალე! მალე!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ტომი 4
ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა

20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები

27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები

კირიონ II-ის ფონდის დოკუმენტებს პოლონელი სპეციალისტები შეისწავლიან

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს პოლონეთის სახელმწიფო არქივის დელეგაცია 5-დღიანი ვიზიტით ეწვია. როგორც ეროვნული არქივის წარმომადგენელი თეა ქიმერიძე აცხადებს, პოლონეთის ცენტრალური საისტორიო არქივის კონსერვაცია-რესტავრაციის სპეციალისტი ივონა კოტალა-სკიბა და არქივისტი ლუკას ტრუსცინსკი გაეცნობიან ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ პატრიარქ კირიონ II-ის ფონდში არსებულ პოლონურ დოკუმენტებს, სრულად აღწერენ მასალას და დაადგენენ დოკუმენტების ფიზიკურ მდგომარეობას. პროექტის მომდევნო ნაწილი აღნიშნული დოკუმენტების რესტავრაციას ითვალისწინებს.

პოლონელი სტუმრები ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორ თეონა იაშვილს შეხვდნენ და შესასწავლი დოკუმენტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

– კირიონ II-ის ფონდი ეროვნულ არქივში 1923 წლიდან ინახება. მასში დაცულია 217 საქმე, რომლებიც მოიცავს XIV-XIX საუკუნეების მასალას. ფონდში გაერთიანებულია ხელნაწერი და ნაბეჭდი შრომები, ისტორიული ნარკვევები, პატრიარქის მიერ შეკრებილი მასალა პოლონურ, ლიტვურ, რუსულ ენებზე. პოლონელი არქივისტების ვიზიტი ეროვნულ არქივში 12 ოქტომბერს დასრულდება, – განაცხადა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცული ოთხი მოკლემეტრაჟიანი ქართული დოკუმენტური ფილმი იტალიის ქალაქ პორდენონეს უხმო ფილმების ფესტივალზე იქნა ნაჩვენები.

– კულტურფილმის ჟანრის დოკუმენტური ფილმები „მიწის ძახილი“ (რეჟისორი სიკო დოლიძე), „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“ (რეჟისორები კოტე მიქაბერიძე, ვასილ დოლენკო), „დილის ათი წუთი“ (რეჟისორი ალექსანდრე ჯალიაშვილი), „კოლმეურნის ჰიგიენა“ (რეჟისორი ვახტანგ შველიძე) ეროვნულმა არქივმა 2013 წელს აღადგინა. საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის, ასევე გერმანული კინოლაბორატორიის ფინანსური ხელშეწყობით ფილმებს ციფრული რესტავრაცია ჩაუტარდა. პროექტის „ქართული კულტურფილმების რესტავრაცია და პოპულარიზაცია“ ფარგლებში ფილმები ლაბორატორიულად დამუშავდა, გაიწმინდა, მაღალი რეზოლუციით დასკანერდა, მასალა ციფრულ საარქივო მედიუმზე ჩაიწერა, ასევე დამზადდა თანამედროვე ციფრული პროექციისათვის საჭირო მატარებლები. აღნიშნული ფორმატი აკმაყოფილებს ფილმების საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეობის ტექნიკურ მოთხოვნილებებს, – განმარტა თეა ქიმერიძემ.

მისივე თქმით, ქართული კულტურფილმები 2012 წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო ნაჩვენები და მაყურებელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ეროვნულმა არქივმა მწერალთა სახლში გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გახსნა, სადაც მისულ დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს, იხილოს ეროვნულ არქივში დაცული, ისტორიული ღირებულების მქონე ფოტოები, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდს უკავშირდება.

– ეს ფოტოები ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მისი მეგობრების წრესა და ოჯახის წევრების ცხოვრებას ასახავს. გამოფენა 13 ოქტომბრამდე გაგრძელდება და მისი დათვალიერება თავისუფალია, – ამბობს ეროვნული არქივის წარმომადგენელი თეა ქიმერიძე.

შსს-ს ნაკრები კარატეში ევროპის ჩემპიონი გახდა

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ბურსაში ჩატარებულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე კარატეში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა. შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ყოველწლიურ ჩემპიონატში, რომელიც პროფესიონალ კარატისტებს აერთიანებს, შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა. ჩემპიონატში 25 ქვეყნის პროფესიონალი სპორტსმენები ასპარეზობდნენ.

შს სამინისტრო ჩემპიონატზე სამი სპორტსმენით და კომპლექტებული ნაკრებით – კობა ცერცვაძე, ლევან ლომიძე და გოგიტა როდონაია – წარდგა დაძაბული ორთაბრძოლების მიუხედავად, შსს-ს ნაკრებმა ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა. ქართველი სპორტსმენები მასპინძელი ქვეყნის გუნდს ფინალში შეხვდნენ და პირველ ადგილზე გავიდნენ. შს სამინისტროს ნაკრებმა გუნდურ ასპარეზობაში ოქროს მედალი და ევროპის თასი მიიღო.

ქართველმა სპორტსმენებმა ინდივიდუალურ შეჯიბრშიც საპრიზო ადგილები დაიკავეს. 75 კგ წონით კატეგორიაში ლევან ლომიძემ ვერცხლის მედალი, ხოლო მძიმე წონაში – გოგიტა როდონაიამ ასევე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ევროპის ჩემპიონები მომავალ წელს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

მ. ჟ.



ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში; 2. მუსიკალური პრემია აშშ-ში; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 5. მე-20 საუკუნის ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 8. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 9. ძალიან ლამაზი ბარი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში, მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. დიდი თევზსაჭერი ბადე; 15. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. ქართული ბანკი; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 13. უნგრული ღვინო; 14. შავი ფერის, ტკბილი ნაყოფის მქონე ენკროვანი ბუჩქი; 16. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 18. აპრილის თვის ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი 9 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია იაქტიუროთ. **ლომი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მზვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა არ ღირს, დარჩით იქ, სადაც ხართ. **თხის რქა** – საღამო მშვენიერი იქნება. **მერწყული** – საკუთარ თავთან სრულ ჰარმონიაში ხართ, ასე განაგრძეთ. **თევზები** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!